ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 აგვისტო 2002 №147 (1669) ფასი 50 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## სპარტანული წესი სუსტებს ლიგაში არ აცოცხლებენ


„ტორპედო“ — „სპარტა“ 1:2. ქუთაისელთათვის ჩემპიონთა ლიგა დამთავრდა

საქართველოსთვის ჩემპიონთა ლიგა დამთავრდა. ქუთაისის „ტორპედომ“ ევროსეზონი დაასრულა. ლიგას დაემშვიდობნენ სკონტოელები ლევან კორღალიძე და ზურაბ მენთეშაშვილი და შერიფელი ვაჟა თარხნიშვილი. ქართველთაგან მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სხვას არავის უთამაშია. მაგრამ ქართველები ლიგაში მაინც არიან, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მილანელი კახა კალაძე, ეინდჰოვენელი გიორგი გახოკიძე და სპარტაკელი ვალერი აბრამიძე ითამაშებენ. არადა, ამგვარი ვითარება წლიდან წლამდე მოგვყვება – ქართული გუნდი საშუალო ევროპულ გუნდთან აუცილებლად მარცხდება და სანუგეშოდ და საქომაგოდ აქა-იქ გაბნეული თითოოროლა ქართველიღა გვრჩება. „ტორპედომ“ კი ვერ მოახდინა სასწაული, რომელსაც მისგან არც ველოდით. შესაძლოა, ზურაბ იონანიძის გოლმა ვინმეს სულ მცირე იმედი გაუღვივა, მაგრამ ჩეხებმა ეს იმედი დაუყოვნებლივ ჩაკლეს. სხვაც არაფერი მომხდარა, „ტორპედოს“ გავარდნისა არ იყოს, სენსაცია დანარჩენ წყვილებშიც არ ყოფილა.

## უმადურო!

### რონალდომ რეალისკენ გაიწია, მილანმა რონალდოზე

ზოგჯერ ერთ სიტყვას, თითქოს სრულიად უმნიშვნელოს, ოქროს ფასი დაედება-ხოლმე.

გუშინ სამშობლოდან მილანში დაბრუნებულმა რონალდომ ძალიან ჩვეულებრივი რამ თქვა, იმდენად ჩვეულებრივი, სხვა ვითარებაში სათქმელადაც რომ არ ეღირებოდა. მაგრამ ვითარება სულ სხვაა და რონალდოს სიტყვებმა ჰაერში ცალკე ოქროს, ცალკე კი დენთის სუნი დააყენეს.

რონალდომ თქვა, ჩემი აგენტის ნათქვამი ჩემს ნათქვამად უნდა აღიქვათო. რა არის ამაში უცნაური, ისედაც იგულისხმება, რომ ასეც უნდა იყოს. მაგრამ ძაღლის თავიც სწორედ აგენტის პირით გაცხადებულშია, რონალდოს „ინტერში“ ყოფნა მობეზრდა და ეგებ, „რეალში“ გადასვლა გავუჩარხოო.

ეს კი სულ სხვა საქმეა, ამის მერე რონალდოს ჩვეულებრივი კომენტარი არაჩვეულებრივ ელფერს იძენს. ოქრო რატომაც ვახსენეთ, ესეც გასაგები ხდება. აი, დენთი კი...

უმადური რონალდო! — ამ სიტყვებით დახვდა ფეხბურთელს მილანი. უფრო ცხელ-ცხელი შეფასებებიც იქნებოდა, მაგრამ მთავარი ეს იყო — უმადურობა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ტრაპიდან ჩამოსულ რონალდოს მხარში პოლიციელი ამოუდგა და აეროპორტს ასევე პოლიციელთა ესკორტის თანხლებით გაარიდა.

საწყალი მასიმო მორატი. „ინტერის“ პრეზიდენტი დამტვრეულ რონალდოს მთელი ორი წელი ხელფასს ბოლო კაპიკამდე უთვლიდა, ფეხზეც დააყენა და პასუხად აი, რა მიიღო.

„რეალი“ კი ჯერჯერობით დუმს.


REUTERS ფოტო



ტორპედო — სპარტა. ქუთაისელთა მონდომება პრაღელთა ოსტატობის ჯებირს შეასკდა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ტორპედო 1:2 სპარტა (0:3)

ქუთაისი. „ტორპედო" 7 აგვისტო. 5 000 მაყურებელი. 20 საათი

1:0 იონანიძე (33), 1:1 ზელენკა (42), 1:2 იუნი (56)

ტორპედო: ჭანტურია, ჭელიძე (ხვადაგიანი 70), მახვილაძე, ქემოკლიძე, გუნია, ბაბუნაშვილი (აბალკაძე 65), კვიტინაძე, დ. ჯანაშია, პორომინი, ასათიანი, იონანიძე (გ. ჩხეტიანი 80). სათადარიგონი: სტურუა, თოდუა, ბუოფიანი, გამეზარდაშვილი. მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

სპარტა: შმიტი, ჟრიგურა (ფლამშარტი 77), პუშმანი, ნოვოტნი, მარეში, პოპორსკი, ზელენკა, იაროშიკი (სიონკო 65), სიონკო (მიხალიკი 53), ბაბნიჩი, იუნი. სათადარიგონი: ბლაჟეკი, პორაკი, პოსპიშილი, ბარანეკი. მწვრთნელი: იოზეფ იარობინსკი

გაფრთხილება: გუნია (56)

მსაჯები: კენტ ვილიამ კლარკი, ჯიმ მაკბრაიტი, ფედერ დოუგ დუგლას მაკდონალდი (ყველა შოტლანდია)

უეფას დელეგატი: ფრანტიშეკ ლაურინეცი (სლოვაკეთი)

ჯარიმა. 18-11, კუთხური 2-8, კარისკენ დარტყმა 2-12, კარში დარტყმა 2-8, თამაშგარე 4-2

# ნათქვამია

*იოზეფ იაროშინსკი, „სპარტას" მწვრთნელი:*

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობას ჩვენი გუნდის გულთბილი მიღებისთვის და საუცხოო პირობებისთვის. ჩვენ მოგება გვსურდა და ეს ამოცანა შევასრულეთ. კმაყოფილი ვარ, ვფიქრობ, პუბლიკასაც მოეწონა თამაში. „ტორპედო" ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებას ვუ??? ახალ რაუნდში „სპარტას" მეტოქე ბელგიური „გენკა". ვეცდებით ეს ეტაპიც გავიაროთ და ლიგის პირველ ჯგუფურ ტურნირში მოვხვდეთო. დანარჩენი შემდეგ გამოჩნდება.

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:*

კოლეგას „სპარტას" გამარჯვებას და ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლას ვულოცავ. პრაღელთა უპირატესობა ორივე მატჩში ეჭვს არ იწვევდა. „ტორპედომ" შინ შედარებით, უკეთესად ითამაშა. ჩვენ გუნდს გამოცდილება აკლია. მეორე ტაიმში ბიჭები ფიზიკურად და მორალურადაც დაიღალნენ. ერთი სიტყვით, კანონზომიერი შედეგი იყო. ახლა სხვა არაფერი დაგვრჩენია, ეროვნულ ჩემპიონატში უნდა ვიბრძოლოთ.



ლევსკი — სკონტო. ლატვიელმა ვლადიმირის კოლესნიჩენკომ სამი სიმონოვიჩს გოლის გატანისთვის სამაგიერო სარმით გადაუხადა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*ბაზელი (შვეიცარია)* 3:0 ჟილინა (სლოვაკეთი) (1:1)
1:0 ხიმენესი (12), 2:0 იაკინი (23), 3:0 ხიმენესი (50)

*ლევსკი (ბულგარეთი)* 2:0 სკონტო (ლატვია) (0:0)
1:0 ჩილიკოვი (12), 2:0 სიმონოვიჩი (31)

პიუნიკი (სომხეთი) 2:2 *დინამო (უკრაინა)* (0:4)
0:1 შაცკიხი (8), 0:2 მალაშენკო (28), 1:2 ართავაზ კარამიანი (30), 2:2 არმენ კარამიანი (60)

ბელშინა (ბელარუსი) 0:1 *ჰ. მაკაბი (ისრაელი)* (0:4)
0:1 პრალია (7 პენ.)

*ჟელეზნიჩარი (ბოსნია)* 1:0 ლილესტრიომი (ნორვეგია) (1:0)
1:0 ბიშჩევიჩი (90)

*პარტიზანი (იუგოსლავია)* 4:0 ჰამარბი (შვედეთი) (1:1)
1:0 ივიჩი (49), 2:0 ლაზოვიჩი (54), 3:0 ილიევი (64), 4:0 ილიჩი (75)

*გრაცერი (ავსტრია)* 2:0 შერიფი (მოლდოვა) (4:1)
1:0 პოტჩერი (58), 2:0 ბაზინა (89 პენ.)

დინამო (რუმინეთი) 0:1 *ბრიუგე (ბელგია)* (1:3)
0:1 ლანგე (18)

*ლეგია (პოლონეთი)* 1:1 ვარდარი (მაკედონია) (3:1)
1:0 კუჩარსკი (33), 1:1 ოლივეირა (61)

დინამო (ალბანეთი) 0:4 *ბრონდბიუ (დანია)* (0:1)
0:1 მადსენი (47), 0:2, 0:3 ბაგერი (50, 87), 0:4 სკარბალიუსი (90+)

*აპოელი (კვიპროსი)* 4:2 მარიბორი (სლოვენია) (1:2)
0:1 დურო (31 პენ.), 1:1 მალეკოსი (33 პენ.), 2:1 ელია (45), 3:1 კარალამბიდესი (67), 4:1 დაასკალაკისი (69), 4:2 დურო (82)
გაძევება: ძგათოკლეუსი (აპოელი 38)

ზაგრები (ხორვატია) 2:1 *ზალაეგერსეგი (უნგრეთი)* (0:1)
1:0 მილინოვიჩი (2), 2:0 ლოვრეკი (28), 2:1 ურბანი (89 პენ.)
გაძევება: კოშკარდი (ზალაეგერსეგი 80)

ჰიბერნიანსი (მალტა) 3:3 *ბოავიშტა (პორტუგალია)* (0:4)
0:1 ოოკოვალტერი (28), 1:1 მიფსუდი (32), 1:2 კლაუდიო (38), 1:3 ტურა (40), 2:3 მისფუდი (58 პენ.), 3:3 ჩუჩერე (66)

# ინტერტოტოს თასი

## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ასტონ ვილა (ინგლისი) 0:2 *ლილი (საფრანგეთი)* (1:1)
სლავენი (ხორვატია) 0:1 *შტუტგარტი (გერმანია)* (1:2)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:3 *ბოლონია (იტალია)* (1:5)
*ტრუა (საფრანგეთი)* 2:1 ვილიარეალი (ესპანეთი) (0:0)
ტილბურგი (ჰოლანდია) 0:1 *მალაგა (ესპანეთი)* (1:2)
სოშო (საფრანგეთი) 0:2 *ფულემი (ინგლისი)* (0:1)

### ნორვეგია

თასის მერვედფინალი

ბრინი 1:2 ლინი
ვიკინგი 2:0 რუსენბორგი
ოდ გრენლანდი 4:1 სტარტი
სკეიდი 1:5 სტაბეკი
ბოდიო გლიმტი 1:5 ტრომსიო

### ავსტრია

V ტური

ადმირა 0:3 შტურმი
კერნტენი 3:0 რიდი
პაშინგი — ბრეგენცი გადაიდო
აუსტრია 1:1 რაპიდი

### შვედეთი

XIV ტური

კალმარი 1:3 იორგრიტე
მალმიო 3:2 ნორჩიოპინგი

### შვეიცარია

A ჯგუფი

გადადებული მატჩი

ციურიხი 0:1 თუნი

### რუსეთი

XIX ტური

როტორი 0:2 ლოკომოტივი

გადადებული მატჩი

სპარტაკი 2:1 ანჟი



სლავენი — შტუტგარტი. გერმანელმა იოჰან ზაიცმა მასპინძელი სრებრენკო პოსავეცი გააცურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზერვისტობა დამთავრდა

## ლონდონი — თბილისი — მოსკოვი ანუ უცნაური გეოგრაფია ევროპისთვის



რატი ალექსიძე (მარჯვნივ) „ჩელსის" გაცვარი

შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ რატი ალექსიძე ჩელსელი აღარაა.

ლონდონურ კლუბში თბილისის „დინამოდან" ორწელიწადნახევრის წინ გადასული ალექსიძე ვერა და ვერ დამკვიდრდა „ჩელსის" ძირითადში და ქონს ოდენ რეზერვისტთა ლიგის მატჩებში იკლავდა.

ახლა კი რატიმ მტკიცედ გადაწყვიტა „ჩელსიდან" წასვლა და წადილი აისრულა კიდეც. ჩვენებური კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ „ჩელსი" — ალექსიძის კონტრაქტი გაუქმდება.

შესაბამისი დოკუმენტი ხელმოწერილი არაა, რადგან ალექსიძე რამდენიმე პუნქტს არ ეთანხმება და საამისოდ ვექილიც კი დაუქირავებია. თუმც საქმე ფაქტობრივად მოგვარებულია — რატი „ჩელსის" ფეხბურთელი აღარ იქნება და ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა. ძველი ხელშეკრულების თანახმად კი, ქართველი შემტევი 2003 წლის ზაფხულამდე ეკუთვნოდა „ჩელსის".

რამდენიმე დღეში ალექსიძე თბილისში ჩამოვა და შესაძლოა, მას თავისი აგენტიც ჩამოჰყვეს. საქმე ისაა, რომ ახალ გუნდში გადასვლის თაობაზე მოლაპარაკებები, ალბათ, თბილისში შედგება — რატის აგენტის პარტნიორები იმ დროისთვის ან თბილისში იქნებიან, ან მოსკოვში.

როგორც თავად ალექსიძემ გვითხრა, მისი თბილისის „დინამოში" ან რუსეთის რომელიმე გუნდში გადასვლა გამორიცხულია — რატი კვლავ ნალდ ევროპას უმიზნებს.

**დავით თავართქილაძე**

# მარტო კაცი გოლის გატანაშიც ბრალიაო

## ჩივაძე აშვეთია-დემეტრაძეს თურქეთს დაპირდა

*უკვე მერამდენე ტურია, ჩრდილოეთ სამეზობლოდან მეტად სასიამოვნო ამბები მოგვდის. ალანიელი ქართველები რუსეთის ჩემპიონატის თითქმის ყველა ტურში გოლით გამოირჩეოდნენ. მხოლოდ ერთხელ, მეჩვიდმეტე ტურში, მოსკოვში „ტორპედო ზილთან" ვერ იყოჩაღა ვლადიკავკაზის „ალანიაში" შეწყვილებულმა აშვეთია-დემეტრაძის დუეტმა, თუმც ეს „დანაკლისი" ჩვენებურებმა ბოლო ტურში „სოკოლთან" აანაზღაურეს. ამ შეხვედრაში დემეტრაძემ ანგარიში გახსნა, აშვეთიამ კი გადამწყვეტი „სამქულიანი" შეაგდო...*

*ახლა წინ ისევ მოსკოვია. მიხეილ აშვეთია იმედიანადაა და მოსკოვური ნავსის გატეხვასაც აპირებს.*

*— ახლა უკვე მოსკოვში ვართ და „დინამოსთან" მატჩისთვის ვემზადებით. იმედი მაქვს, სასურველ შედეგს მივაღწევთ.*

**— შენი და გიორგი დემეტრაძის „ალანიაში" გადასვლის შემდეგ კლუბი დღემდე დაუმარცხებელია...**

— ეს სერია აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ. გუნდი ძალიან შეკრულია. მე და „დემე" კარგად ვუგებთ ერთმანეთს და გოლებიც გაგვაქვს. ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ.

**— ერთი ტური უგოლოდ ჩაატარეთ...**

— დიახ, „ზილთან" ვერ ვიყოჩაღეთ. ჩვენ თუ გაგვაქვს, ამას წყვილად ვაკეთებთ, მარტო ხომ არ გავიტანდი...

**— ესე იგი, „დინამოსთანაც" წყვილად გაიტანთ?**

— ამისთვის არაფერს დავიშურებთ, თუმც უმთავრესი გუნდის შედეგია. ისე, ისიც მართალია, რომ შედეგი ქართველებზეც დიდადაა დამოკიდებული.

**— სახიფათო ზონას უკვე თავი დააღწიეთ. კლუბის ხელმძღვანელობას მადა ხომ არ გაეხსნა?**

— წლევანდელს მიზანი მაინც პრემიერლიგაში დარჩენაა. მომავალ წელს კი მართლა სერიოზული გუნდის გაკეთებას აპირებენ. ამაზე უკვე ხმამაღლაც ლაპარაკობენ.

**— „ალანიაში" განათხოვრებით თამაშობ. ახალ სეზონში „კოპენჰაგენს" დაუბრუნდები თუ კვლავ ოსურ კლუბში გააგრძელებ კარიერას?**

— ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. როგორც იცით, „კოპენჰაგენი" თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქეა უეფას თასზე. ჰოდა, როცა დანიელები თბილისს ეწვევიან, მათ შევხვდები და ალბათ ამ საკითხსაც გავარკვევ. ფაქტია, რომ „ალანიაში" ამ სეზონის ბოლომდე უნდა ვითამაშო. მერე რა მოხდება, არ ვიცი.

**— „სოკოლთან" მატჩის წინ ფეხს იტკივებდი...**

— სერიოზული არაფერი ყოფილა. უკვე სრულიად ჯანმრთელი ვარ.

**— გიორგი დემეტრაძე როგორ არის, გატეხილი ცხვირი ხომ არ გამიზეზებია?**

— საბედნიეროდ და არა, დემეტრაძეც ჯანზეა. „სოკოლთანაც" ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**— გავიგეთ, რომ გია იმედაძე „ალანიამ" ტრანსფერზე დააყენა. ხომ არ იცი, ზუსტად რა მოხდა?**

— გიას კონფლიქტი მოუვიდა კლუბის თავკაცობასთან და ისიც გაუშვეს. ცუდია, ასე რომ მოხდა, მაგრამ რას იზამ. როგორც ვიცი, იმედაძე ახლა უკვე საქართველოშია.

**— ვლადიკავკაზში საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე იყო ჩამოსული...**

— ბატონ საშას შევხვდით და ველაპარაკეთ. მეც და გიორგისაც გვითხრა, რომ აუცილებლად შეგვეხმიანება. იმედი მაქვს, თურქეთთან მატჩისთვის ნაკრებში გამოგვიძახებს.

**ქახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია



ზაზა ზირაქიშვილი

# ზირაქიშვილი მუქთად და ასათიანი იაფად?

## დინამომ ტორპედოს 55 000 $ იანვრამდე შეარჩინა

**თბილისის** „დინამოსგან" ნახევარი სეზონით დისკვალიფიცირებული, მერე კი ამ კლუბთან კონტრაქტდამთავრებული ზაზა ზირაქიშვილი, როგორც იქნა, ახალ გუნდში გადავიდა.

მეთორმეტე ეროვნულის მთავარმეგოლე და საუკეთესო ფეხბურთელი „დინამოს" მოქიშპე ქუთაისის „ტორპედოში" ითამაშებს — ზირაქიშვილი რიონისპირელებმა ამ დღეებში შეიყვანეს განაცხადში.

27 წლის ფეხმალი ფორვარდი „ტორპედოში" მაშინ მივიდა, როცა „დინამო" სეზონისწინა შეკრებაზე იყო გერმანიაში. შემდეგ ქუთაისელები ფარერებს გაემგზავრნენ, იქიდან კი პრაღას და ამ ხნის განმავლობაში ზაზა ზირაქიშვილი თბილისში ემზადებოდა დამოუკიდებლად. მას ფიზმომზადების პროგრამა „ტორპედოს" დამრიგებელმა ალექსანდრ შტელინმა შეურჩია. ახალი მწვრთნელის მითითებებს ზაზა იპოდრომზე და კუს ტბაზე ასრულებდა.

ერთი სიტყვით, ცხენის ბილიკებზე და ტბის ნაპირებზე ნაწრთობი ზირაქიშვილის მზადყოფნით შტელინი კმაყოფილია და ზაზა ჩემპიონატის მეორე ტურში, ალბათ, ითამაშებს კიდეც „მერანის" წინააღმდეგ (ცხადია, თუ „მერანი" ფედერაციასთან ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებს).

„დინამოს" კი „ტორპედოსგან" საკომპენსაციო თანხა ერგება. თუმც თბილისელებმა სულგრძელობა გამოიჩინეს და ზირაქიშვილს ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში „ტორპედო" ისე ათამაშებს, რომ „დინამოს" თეთრსაც არ გადაუხდის, მაგრამ მერე რა მოხდება, გაურკვეველია.

როგორც კონფიდენციალური და სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, ზირაქიშვილის საკომპენსაციო საფასური 55 000 დოლარს შეადგენს.

მაგრამ აქ ერთიცაა — „დინამო" ტორპედოელი მალხაზ ასათიანის ყიდვას ეშურება და ვინძლო მისი ხელგაშლილობა ამ ამბავსაც უკავშირდება.

ასათიანს „ტორპედო" ჩალის ფასად ნაღდად არ დათმობს...

**დავით თავართქილაძე**



## იყიდება უნიკალური წიგნები



ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზამეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

# იმედაძეს ოსებმა კარისკენ მიუთითეს

## ქართველმა ალანია დატოვა



გია იმედაძე

**რამდენიმე** თვის წინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი გია იმედაძე რუსული პრემიერლიგის დაწყების წინ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადაბარგდა. ოსები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართველ ფორვარდზე, მასში სოლიდური თანხაც გადაიხადეს და პრესტიჟული ათნომრიანი მაისურაც გადასცეს. 22 წლის იმედაძემაც ძირითად შემადგენლობაში უმალ მოიკიდა ფეხი. პირველ წრეში ათჯერ გამოჩნდა მოედანზე და 2 გოლის გატანაც შეძლო, თუმც მერე თანდათან გაუჩინარდა.

მეორე წრე „ალანიამ“ და ქართველებმა რიხით დაიწყეს, მაგრამ ამაში იმედაძის წვლილი ნულის ტოლი იყო. თავიდან ყველაფერი ჩვენებურის ტრავმას დაბრალდა, რამაც გიას ძვირფასი დრო გააცდენინა. მერე კი ვლადიკავკაზში დაბრუნებულს საიმედოც არაფერი დახვდა. კლუბის მწვრთნელებმა ის ფარმკლუბს დაუთმეს. იმედაძემ ცოტა იქაც წაიბურთავა, ახლა კი...

ახლა იმედაძეს და „ალანიას“ საერთო ბევრიც არაფერი დარჩათ. ვლადიკავკაზური კლუბის ხელმძღვანელობამ ქართველ ფორვარდთან განშორება გადაწყვიტა და ტრანსფერზეც დააყენა. ოფიციალური ინფორმაციით, იმედაძეს კლუბის თავკაცობასთან კონფლიქტი მოსვლია, რამაც „ალანიას“ და ქართველის გზებს სხვადასხვა მიმართულება „მისცა“. გია ახლა უკვე საქართველოშია და მომავალ კლუბზე ფიქრობს.

**კახა ზალამბერიძე**

*ვასილ გიგიაძე უკვე რამდენიმე სეზონია სიმფეროპოლის „ტავრიას“ ლიდერია. 24 წლის ქართველი ნახევარმცველი იოლად შეეგუა უკრაინის ჩემპიონატს და მყისვე გუნდის წამყვან მოთამაშედ იქცა. გიგიაძე ბომბარდირული თვისებებითაც გამოირჩევა და ალბათ, გასაკვირიც არ უნდა იყოს ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა იქაურ ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერთა ნაკრებში რომ დაასახელეს. წლეულს „ტავრია“ ჩვეულად ვერ ირჯება, თუმც ქართველი ფეხბურთელი ამის ფონზეც გამორჩეულია.*

# იტალია ძირითადი, რუსეთი სათადარიგო

## გიგიაძემ უკრაინა ამოწურა

— კარგ ფორმაში ვარ. ჩემი თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ნაღდად არ ვარ.

**— ადრე „ტავრია“ ყველასთვის ღირსეული მეტოქე იყო. წლევანდელი სეზონი კი სუსტად დაიწყეთ.**

— ვფიქრობ, ეს კალენდრის ბრალი უფროა. პირველ ორ ტურში დონეცკის „შახტარს“ და კიევის „დინამოს“ შევხვდით. ამ გუნდებთან თამაში ჩვენ კი არა, ყველას უჭირს. ალბათ, თანდათან ამოვქაჩავთ და ჩვეულ პოზიციებს დავიბრუნებთ.

**— უკრაინაში უკვე საკმაო ხანი თამაშობთ. უკეთეს გუნდში გადასვლას არ აპირებ?**

— იტალიაში თამაშის ვარიანტები მაქვს და ვნახოთ რა გამოვა. კლუბის ხელმძღვანელობა მაიმედებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**— რომელი გუნდებია?**

— ზუსტად არ ვიცი. როგორც მეუბნებიან სერია A-ს და სერია B-ს კლუბები არიან ჩემით დაინტერესებულნი. შესაძლოა, იტალიაში დღე-დღეზე წავიდე.

**— ესე იგი, „ტავრია“ შენს გაყიდვას აპირებს?**

— ასეც უნდა მოიქცეს. გუნდთან კონტრაქტი ივნისამდე მაქვს და მერე ცხადია, ჩემში ვერაფერსაც ვერ აიღებენ.

**— თუკი ეს ვარიანტი არ გამოვიდა?**

— სათადარიგოდ რუსეთი მაქვს. აქაც კარგი გუნდები მიწვევენ. ასე რომ, უგუნდოდ არ დავრჩები.

**— შოთა ჩომახიძე და გოჩა ტრაპაიძე შედარებით ცოტას თამაშობენ...**

— შოთას ტრავმა ჰქონდა და ახლახან მოიშუშა. ტრაპაიძე კი ძირითად შემადგენლობაში ხშირად თამაშობს. შესაძლოა, კიდევ ერთი ქართველი, ლევან მიქაძეც დავიმატოთ. ის უკვე ჩვენთან ვარჯიშობს და ეს საკითხიც მალე გაირკვევა.

**— ბოლოხანს გოლები ხშირად გაგაქვს. პოზიცია ხომ არ შეგიცვალეს?**

— არა, ჩვეულებრივად, თავდამსხმელების უკან ვთამაშობ. გოლების გატანას კი მართლაც მოვუხშირე, რაც ძალიან მახარებს.

**— საქართველოს ნაკრებზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა...**

— რა უნდა ვთქვა. ნაკრებში თამაში ძალიან მინდა, თუმც ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდება. იმედი მაქვს უკეთეს გუნდში გადავალ და მერე ეროვნულ გუნდშიც ვითამაშებ. ეს ჩემი ოცნებაა.

**კახა ზალამბერიძე**



ვასილ გიგიაძე



კახა ჭუმბურიძე

# პეტრიაშვილმა ჭუმბურიძეს დაუბარა

## საბოტაჟი მოიგონეს

**სამონაწილეო** თანხის გადაუხდელობის გამო ფეხბურთის ფედერაციამ ოთხ გუნდს — წნორის „მილანს“, ზესტაფონის „მეტალურგს“, თბილისის „მერანსა“ და რუსთავის „გორდას“ მეთოთხმეტე ეროვნულის პირველ ტურში თამაშის ნება არ დართო და წაგება ჩაუთვალა. ამასთან დაკავშირებით გუშინ ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის დავით პეტრიაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსმა კახა ჭუმბურიძემ პრესკონფერენცია გამართა. თავად პეტრიაშვილი პრესკონფერენციას არ ესწრებოდა, ერევანში ჩემპიონთა ლიგის მატჩზე დელეგატად იყო მივლინებული. ჭუმბურიძემ პრესკონფერენციის დასაწყისშივე უარყო ხმები, თითქოს პეტრიაშვილი ზემოთხსენებული გუნდების უკან დგას და ფედერაციას საბოტაჟს უწყობს:

— პეტრიაშვილი არ არის შეთანხმებული ამ ოთხ გუნდთან და არც მათ უკან დგას. ჩვენს [illegible] არ [illegible], „ოთხეული“ ჩემპიონატიდან მოკვეთა, [illegible] დარწმუნებულები ვართ, არჩევნებში პეტრიაშვილი გაიმარჯვებს და მერე ყველაფერი ჩვენი გამოსასწორებელი იქნება. თუ პეტრიაშვილი კლუბებს ჩემპიონატის საბოტაჟისკენ მოუწოდებს და მართავს, მაშინ ამას პირველი თბილისის „დინამო“ გააკეთებდა. ასევე მოიქცეოდნენ პეტრიაშვილის მხარდამჭერი სხვა კლუბებიც. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გუნდები იმიტომ არ იხდიან ერთიანად თანხას, რომ აქამდე ეტაპობრივად გადახდას მიაჩვია სფფ-მ. ფედერაციამ კი რატომღაც ახლა გამოიჩინა პრინციპულობა და თანხის სრულად შეტანაც მოითხოვა, რაც არასწორად მიმაჩნია. გაჭირვებულს უნდა დაეხმარო. რა დააშავა წნორის „მილანმა“, როცა წყალდიდობის შემდეგ სტადიონს აშენებს და ჯერ სრულად ვერ იხდის სამონაწილეო ფულს, ან იგივე „გორდამ“, „მეტალურგმა“... პეტრიაშვილი მათ მორალურად უჭერს მხარს, თორემ არანაირ გარიგებაზე საუბარი არ ყოფილა.

— პეტრიაშვილის საარჩევნო პროგრამით კლუბები კი არ თავისუფლდებიან გადასახადისაგან, არამედ, ის 22 ათასი ლარი უკან უბრუნდებათ. ეს ფული კი აუცილებლად კლუბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას მოხმარდება. წლის ბოლოს გუნდებს ჩაუტარდებათ რევიზია და ვინც ამ ფულს სხვა რამეს მოახმარს, შესაბამისი სანქციებით დაისჯება. 22 ათასი ლარი, ცხადია, ყველაფერს ვერ ეყოფა, მაგრამ გაჭირვებული კლუბისთვის ესეც დიდი შეღავათია. 2005 წელს უეფა კლუბების ტექნიკურ ბაზებს შეამოწმებს და რომელიც მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ევროთასებში ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამიტომ ვცდილობთ, კლუბებს შეღავათი გავუწიოთ და შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ. მსაჯების ხელფასს და ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზაციას ჩვენ თავზე ვიღებთ. საამისო ფინანსები გაგვაჩნია, თან რამდენიმე ძლიერი სპონსორის იმედიც გვაქვს. მოწინააღმდეგეები კი ამას პოპულიზმში გვითვლიან.

— სასამართლოს განაჩენი სამართლიანია. ჩვენ არც სამოქალაქო კანონები დაგვირღვევია და არც ფიფა-უეფასი. თუ დავარღვიეთ, დღევანდელი ფედერაციის იურისტი რატომ არაფერს ამბობს?

— არ ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნების შემდეგ კლუბების შეტანილი ფული ფედერაციის ანგარიშზე იქნება. ეჭვიანი კაცი არ ვარ, მაგრამ რა იცი, რა ხდება. შეიძლება, ის ფული მანამდე დაიხარჯოს.

— ვფიქრობ, მერაბ ჟორდანიამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში მისი სამსახური არ დაგვჭირდება. ეს წმინდა საქმიანი ურთიერთობაა. ჩვენ პირადულად არავის ვუპირისპირდებით. ახლანდელი ფედერაციიდან ჩვენთან მხოლოდ პატიოსანი და პროფესიონალი სპეციალისტები იმუშავებენ.

— გამარჯვებაში დარწმუნებულები ვართ. წინასწარი მონაცემებით, პეტრიაშვილს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ჟორდანიას.

**ბაჩო სვანიძე**

24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RONALDO INGRATE!

## რწყილი და ჭიანჭველა იტალიურად

## რონალდომ რეალი თქვა და პოლიციას ჩაბარდა



რონალდო მილანში უპოლიციელოდ ველარ დადის

**ამოლერლა.** შეიძლება წამოსცდა, მაგრამ მთავარია, რომ თქვა: „მე სრულიად ვიზიარებ ჩემი აგენტის აზრს მადრიდის „რეალში" გადასვლის თაობაზე. ვადასტურებ, მან ჩემი სათქმელი გამოხატა. მესმის, რ„ინტერის" ფანები გავანაწყენე, მაგრამ დრო მოვა და წასვლის ჭეშმარიტი მიზეზები გაცხადდება".

მილანში, „მალპენსას" აეროპორტში, თვითმფრინავი დაეშვა. ტრაპზე ხელჩანთიანი რონალდო ჩამოვიდა და იქვე მდგარ თეთრ ავტობუსში ავიდა. ავტობუსში პოლიციელებიც იყვნენ, რომლებიც ფეხბურთელის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ.

ვისგან ან რისგან მოდიოდა საფრთხე? აეროპორტს ლიდძალი გულშემატკივარი მისწყდომოდა. ზოგი კვლავაც სიყვარულს ეფიცებოდა რონალდოს, ზოგს კი ახალი ლოზუნგი გამოეცხო: „რონალდო ინგრატე", რაც უმადურ რონალდოს ნიშნავს.

რამ გამოიწვია „ინტერის" ფანთა გამწყება? ფეხბურთელი ხომ ჯერ ისევ „მაულურჯთა" განუყრელი წევრია. „კიჭას" თვითონ არსად წამოსცდენია, მაგრამ მისმა აგენტმა ალექსანდრ მარტინსმა დაახეთქა, მაგ ბიჭს იტალია, მილანი და სერია A მოსწყინდა, აპენინებზე გაჩერებული აღარ არისო.

აქ რონალდოს აგენტების ვინაობის გასარკვევად ოდნავ გადავუხვევ. ფეხბურთელს ორი აგენტი ჰყავს — ბრაზილიელები, ალექსანდრ მარტინსი და რეინალდო პიტა. პირველი მათგანი „კიჭას" წარმომადგენელია ევროპაში. ცხადია, ასეთი დიდი მობურთალის საქმეებს მარტო ვერ აუვა, ამიტომ დამხმარეც აუყვანია, ვინმე ჯოვანი ბრანკინი.

მეორე, ანუ რეინალდო პიტა სამხრეთ ამერიკას კურირებს. აგენტთა მარაქაშია გარეული მავანი როდრიგო პაივა, თუმცა მას მხოლოდ მასმედიასთან ურთიერთობა ევალება. გარდა ამისა, როდრიგო პაივამ სულ ახლახან ბრაზილიის ნაკრების პრესსამსახურთანაც გამოჰკრა ხელი.

თავად რონალდო ინტერვიუებს ძალიან იშვიათად იძლევა, საერთოდ კი მასმედიასთან ლაქლაქს ერიდება.

რაც შეეხება აგენტებს, ისინი სიტყვას არავის დაამადლიან. სწორედ ალექსანდრ მარტინსის ენის რატრატმა ააფორიაქა მილანი და მადრიდი.

აღმოჩნდა, რომ მარტინსი სპეციალურად სწვევია ესპანეთის დედაქალაქს ხორხე ვალდანოსთან შესახვედრად. აგენტმა ვალდანოს რონალდოს სამსახური შესთავაზა. როგორც ჩანს, არგენტინელისთვის ეს ვიზიტი მოულოდნელი იყო. ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ხორხე ვალდანო მილანში „ინტერის" ბოსებს დაუკავშირდა და მომხდარის შესახებ ზრდილობიანად მოახსენა.

მილანური კლუბის ოფისის თანამშრომლებს მასიმო მორატისთვის ეს ამბავი ენის კანკალით უცნობებიათ. მორატიმ ისე იღრიალა, ჯერ ფეხსაცმლიდან, შემდეგ კი წინდებიდან ამოვარდნილა. რატომ? იმიტომ, პატივცემულნო, იმიტომ, რომ გაჭირვების ჟამს რონალდოსთვის მზრუნველობა და მამობრივი სიყვარული არ მოუკლია. იმ ორი წლის განმავლობაშიც, როცა ბურთს ფეხს ვერ აკარებდა, კუთხილ ხელფასს ბოლო კაპიკამდე უთვლიდა. ახლა კი რა ხდება, „მამობილის" უჩუმრად „ინტერის" „რეალში" გადაცვლას აპირებს?

მასიმო მორატი: „სიმართლე ერთია — რონალდო ჩვენ გვეკუთვნის და მეცრა, გაისადაც აქ ითამაშებს, თუმცა ჯერ მასთან არ მისაუბრია და არც ფეხბურთელს უთქვამს ჩემთვის რამე".

„ინტერის" ფანები მორატისგან მეტ სიმკაცრეს ითხოვენ ფეხბურთელთან მიმართებაში.

მომხდარის გარშემო გულშემატკივართა აზრები დაიქსაქსა. არადა, ისინი „კიჭას" ალმერთებდნენ. ოფიციალურ მატჩებზე კი არა, რონალდოს მიერ „ინტერის" უბრალო ვარჯიშზე გატანილ გოლსაც ოვაციებით ხვდებოდნენ.

დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ნაწილმა ბრაზილიელის „რეალში" შესაძლო გადასვლის თაობაზე გაჩენილი ინფორმაცია შეურაცხყოფელად აღიქვა ფაქტია, რომ საშობლოში ყოფნისას „რონა" მცირეოდენ კომენტარებში მილანურ მოძალეზე არცთუ ხალისიანად საუბრობდა, ამასთან მისი აგენტები არაორაზროვნად აცხადებენ, რომ „კიჭას" „ინტერში" მობეზრდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ გაზაფხულზე მასიმო მორატიმ ბრძანა: „რონალდო არ იყიდება და თუ გაიყიდება, მხოლოდ 100 მილიონ ევროდ". მაშინ ასეთი განცხადებები სერიოზული და რეალური იყო, ამჟამად კი რა მოგახსენოთ. სჯერა ვინმეს, რომ ბრაზილიელ ფენომენში რომელიმე კლუბი დღეს 100 მილიონს გაიღებს? ვგონებ, არავის, რადგან 100 მილიონი კი არა, ხალხი კაპიკებს დასდევს და ფეხბურთელებს ქირაობს, ფულის გადახდის შნო რომ არ აქვს.

დავუშვათ, რონალდოს უბრალოდ, მართლაც აღარ სურს მილანში ყოფნა, რას იზამს მორატი, ძალის გამოყენებით ხომ არ შეაგდებს მინდორზე? ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, გამოსავალი არსებობს. პირველი — პრეზიდენტი უნდა გაჯიუტდეს და ფეხბურთელი აიძულოს, შეასრულოს კონტრაქტის პირობები, რომლითაც იგი „ინტერს" 2006 წლამდე ეკუთვნის. მეორე — შეეგუოს „კიჭას" კბილების კრაჭუნს და შეეცადოს, რაც შეიძლება სარფიანად გაყიდოს. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ძალით არავის არავინ დაუტოვებია გუნდში, მით უმეტეს, ისეთი სიდიდის ვარსკვლავი, როგორიც რონალდოა. ამიტომ „ინტერის" პრეზიდენტს ისღა დარჩენია, მთხოვნელთა წინადადება განიხილოს, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ „რონა" საბოლოოდ გადაჭრით უარს იტყვის „ინტერში" დარჩენაზე.

ყველაფერს ნათელი მას შემდეგ მოეფინება, როცა პრეზიდენტი და ფეხბურთელი მაგიდას მიუსხდებიან და მომავალს გაარკვევენ.

იტალიაში გარიგების შესაძლო ვარიანტებზეც ჭუკჭუკებენ. მაგალითად, ასეთი: „რეალი" „ინტერს" ჩაუთვლის თანხის ნაწილს და ზედაც მაკელელეს სოლარისთან ერთად მიაყოლებს. ჰექტორ რაულ კუპერი სანტიაგო სოლარის მარცხენა ფლანგს ჩააბარებს, მოედნის ცენტრს კი — კლოდ მაკელელეს. შესაბამისად, კრისტიანო ძანეტი ცენტრიდან ამოვარდება და რომის „ლაციოში" გადაბარგდება, რადგან „ლაციოს" დიდი ხანია, მასზე უჭირავს თვალი. რომში გადასული ძანეტის ნაცვლად „ინტერი" მიიღებს ალესანდრო ნესტას, რომელიც ასე ძლიერ სურს ჰექტორ კუპერს. აი, ასეთი რწყილი და ჭიანჭველა შეიძლება გათამაშდეს, თუმცა ყველაფერი ეს იტალიური პრესის ვარაუდებია.

მოკლედ ერთნი ამტკიცებენ, რონალდოს მართლაც მობეზრდა იტალიაო. მეორენი ბჭობენ, თითქოს არგენტინელ მწვრთნელს და ბრაზილიელ ფეხბურთელს შორის შავი კატა დაეხეტება. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ჭაღარა ჰექტორი ვარსკვლავბიჭუნას არავითარ შეღავათებს არ უწევს. ისეთებიც კი გამოჩნდნენ, რომლებმაც მეტად ორიგინალური მიზეზი მოიყვანეს — მოსწყინდა იტალიელი ლამაზმანები, ახლა ინტიმური თვალსაწიერის გაფართოება სურს და მადრიდული ხილის გასინჯვა სწადიაო. მოდი და გაიგე რამე.

**გაჩა ხუციშვილი**



იყო დრო, რონალდო და მასიმო მორატი ერთმანეთს გულიანად ესალმებოდნენ




## გმადლობთ, სინიორ პრემიერმინისტრო!

### რივალდომ მილანი გაიცნო

**ბრაზილიელმა** მსოფლიოს ჩემპიონმა, რივალდომ, სიამაყით განაცხადა, რომ „მილანში" მის გადასვლას პირადად იტალიის პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ ჩაუყარა საფუძველი.

„მოლაპარაკებების განმავლობაში მასთან რამდენიმე პირადი საუბარი მქონდა — თქვა მილანში ჩასულმა და საპრესკონფერენციო მაგიდასთან ჩამომჯდარმა ყოფილმა ბარსელონელმა — დიდი მადლობა პრემიერს ასეთი ნდობისთვის".

30 წლის რივალდომ „შავ-წითლებთან", ცოტა ხნის წინ, სამწლიან კონტრაქტს რომ მოაწერა ხელი, მთელმა მსოფლიომ იცის. ისიც ცნობილია, რომ სილვიო ბერლუსკონი პრემიერ-მინისტრის პოსტზე არჩევამდე (ამ თანამდებობაზე კი მეორედაა, პირველად 1994 წელს იყო) ცნობილი გახლდათ, როგორც მედია-მაგნატი და მილიარდერი, რომელიც „მილანს" პრეზიდენტობდა და სწორედ მისი გონივრული ხელმძღვანელობის შედეგად მიაღწია კლუბმა 1980-1990-იან წლებში თვალუწვდენელ სიმაღლეებს.

რივალდომ იმედი გამოთქვა, რომ მასთან ერთად „შავ-წითლები" სამი წლის მონატრებულ რომელიმე დიდ ჯილდოს მოიპოვებენ.

„ვიმედოვნებ, რომ წლეულს შევძლებთ ამას. გუნდში ხომ ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია".

ბრაზილიელი ახალ გუნდთან ვარჯიშს გუშინ შეუდგა. მასთან ერთად ვარჯიშობდნენ ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი და დანიელი თავდამსხმელი იონ დალ ტომასონიც, რომლებიც ასევე ამ ზაფხულს გადავიდნენ „შავ-წითელ" ბანაკში.

„მინდა, უმოკლეს დროში ფორმაში ჩავდგე, თუმცა, ცხადია, როდის უნდა გავიდე სათამაშოდ, ექიმების გადასაწყვეტია" — თქვა რივალდომ და დასძინა, რომ ნაკრებში მისი მეწყვილე, რონალდო, წავა თუ არა მილანის მეორე გუნდ, „ინტერიდან", მისი საქმე არ არის:

„ჩემთვის დღეს მხოლოდ „მილანზე" საუბარია საინტერესო".

გეხსომებათ, რომ ერთი ხნის წინ ის ამბობდა, ერთი სული მაქვს, როდის გაიმართება მილანური დერბი, რათა ჩემს მეგობარ რონალდოს დავუპირისპირდეო. როგორც ჩანს, დერბი ბრაზილიური ლაიტმოტივის გარეშე ჩაივლის.

**ბაჩუნა ძიძია**

## მიჰქარავენ!

### ქართველ მწვრთნელებს, მსაჯებს და ფეხბურთელებს არ წააკითხოთ

**სამხრეთამერიკული** ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში რა დავიდარაბებიც ხდება, კარგად მოგეხსენებათ. ამბობენ, საზღვარი ყველაფერს აქვსო, მაგრამ არც ეგრე ყოფილა საქმე — არ ჰქონია.

ჩილეს ჩემპიონატის რიგითი ტურის შეხვედრაში ბოლო წუთზე „აუდაკს იტალიანოს" ფეხბურთელებმა არბიტრის, ფრანსისკო კამანოს გადაწყვეტილება იუკადრისეს, გარს შემოეხვივნენ და საქმის გარჩევა დაუწყეს. ამით აღშფოთებულმა მსაჯმა ერთ-ერთ ამბოხებულს, ალეხანდრო კარასკოს მუხლი ამოარტყა. ფეხბურთელი ტკივილისგან მოედანზე გაგორდა და მსაჯისგან... სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი არბიტრის 50 თამაშით მოკვეთას გეგმავს, კამანო კი ამბობს, ეს თავდაცვის მიზნით ჩავიდინეო.

თუმც იმდღევანდელი საქმენი საგმირონი ამით არ დამთავრებულა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მატჩის მერე „აუდაკს იტალიანოს" მწვრთნელ ერნან გოდოისთან გასაუბრება მოისურვა. მწვრთნელმა, ლაპარაკის ხასიათზე არ ვარო და, ჟურნალისტს მობილური ტელეფონი გამოგლიჯა და მოედანზე გადაუგდო.

ჟურნალისტი მწვრთნელს ვალში არ დარჩა და ერნან გოდოის ხელი ჰკრა. ამას რას ვხედავთო და, „აუდაკსის" ფეხბურთელები ჟურნალისტს გამოუდგნენ. წინ ჟურნალისტი გარბოდა, უკან კი აბობოქრებული ფეხბურთელები მისდევდნენ. ბოლოს ჩილელმა სამართალდამცავებმა იმარჯვეს.

**ზურაბ რუხაძვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ სად დაცხრება?
## ჰოდლმა სამეფო კარს მორიენტესი სთხოვა



მადრიდის „რეალის“ ფორვარდი, ფერნანდო მორიენტესი, ლონდონურ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ მონდომებია და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ კლუბთან მოლაპარაკებებიც გაუბამს — 15 მილიონ გირვანქას გადაგიხდიო. მოგეხსენებათ, ახლახან ითქვა, რომ „რეალი“ „ინტერისგან“ რონალდოს ყიდულობს. თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ მორიენტესი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდი შანსია, უსაქმოდ დარჩეს. ამიტომაც დაფაცურდა „სპურზის“ თავკაცი გლენ ჰოდლი და მადრიდს დელეგაცია აფრინა. დელეგაციაში ლონდონელთა თავმჯდომარე, დენიელ ლევისაც უკრა თავი და „სამეფო კლუბის“ სატრანსფერო საქმეთა ხელმძღვანელს, ხორხე ვალდანოს გარიგება შესთავაზა.

აქვე გავიხსენოთ ერთი კვირის წინანდელი ამბავიც: „სპურზი“ საფეხბურთო სამყაროს გამოუტყდა, რომ „ბარსელონასგან“ უარყოფილი რივალდოს გადაბირებას ლამობდა, მაგრამ მოქნილმა მილანელებმა დაასწრეს. ერთი სიტყვით, ლონდონურ კლუბს, როგორც ჩანს, სამხრეთიდან ვარსკვლავის მოწყვეტა და „უაით ჰართ ლეინზე“ გადასმა პრინციპულად აქვს გადაწყვეტილი.

სანამ სამხრეთისკენ გაიხედავდა, ჰოდლს, რომელსაც თავდამსხმელი სჭირდება, „სანდერლენდში“ ჰქონდა ანკესი გადაგდებული. იქედან, ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, კევინ ფილიპსის წამოყვანა ეწადა და ამისათვის მზად იყო, ფულის გარდა სანდერლენდელთათვის რამდენიმე თავისი ფეხბურთელიც დაეთმო. ფულად, ჰოდლი, 10 მილიონ გირვანქას იძლეოდა, მაგრამ ხელი მოეცარა. შემდეგ იყო და „სპურზის“ ბოსს „ლიდსიდან“ რობი კინის გამოტყუება მოუვიდათ თავში აზრად, თუმცა კინმა პასუხად ლიდსელთა ერთგულების ფიცი მოასმენინა.

და ახლა, მორიენტესი... „ტოტენჰემის“ ხალხი ამბობს, ეგ ესპანელი ჩვენს სამსახურში თუ ჩადგება, ყოველ პარასკევს, ციმ-ციმ 30 ათას გირვანქას მივართმევთო. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მორიენტესმა იყოჩაღა და სამი გოლი შეაგდო, სულ კი, ნაკრების მაისურით ჩატარებულ 28 შეხვედრაში 17-ჯერ ჰყავს უცხოელი მეკარეები გამწარებული. სტატისტიკოსები თავდამსხმელის სასარგებლოდ იმასაც ამბობენ, რომ „რეალის“ შემადგენლობაში მას ყოველ ორ შეხვედრაში გააქვს გოლი.

მაგრამ, თუ რონალდო მართლა მადრიდში გადავიდა...

თურმე, ფერნანდო მორიენტესისა და მადრიდის „რეალის“ კონტრაქტში წერია, რომ მორიენტესს ზურგზე ცხრა ნომერი უნდა ეწეროს. ახლა, პრობლემა ის არის, რომ ამ ციფრზე რონალდოსაც ჭკუა ეკეტება და გამოდის, რომ თანაგუნდელების შემთხვევაში ბრაზილიელმა და ესპანელმა მოედანზე ადგილის გარდა, მაისურასთვისაც უნდა იჩხუბონ. თან, ამბობენ, მორიენტესის კონტრაქტში ისიც წერია, თუ საწყალი მოხდა და ცხრა ნომრიანი მაისურა სხვას ერგო, გაბრაზებული გუნდიდან არ უნდა გაიქცესო. ისე, „ტოტენჰემში“, ცხრიანზე გადარეული ვეტერანი ლეს ფერდინანდია.



დენიელ ლევი მადრიდში 15 მილიონი გირვანქით ჩავიდა

**ბაჩუნა ძიძია**

# ნიკი მოვიდა, ირბინე ჰარი!
## ვენეიბლზმა ძველი ბარმბი გაიხსენა

**ინგლისური** ცნობების თანახმად, „ლიდსის“ ახალი მწვრთნელის, ტერი ვენეიბლზის სატრანსფერო ბადეს ლივერპულელი ნიკ ბარმბი მოჰყვა — ეს ვენეიბლზის პირველი წარმატებაა ლიდსში გადასახლების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ბარმბის მწვრთნელისთვის ხელის ჩამორთმევა და თავის წარდგენა არ დასჭირდება, რადგან მათ, ადრე, „ტოტენჰემსა“ და ინგლისის ნაკრებში უბრძოლიათ და უწვალიათ ერთად. როგორც ამბობენ, ფეხბურთელის სანაცვლოდ „ელანდ როუდზე“ 2,75 მილიონ გირვანქას ელიან.

ბარმბი 28 წლისაა, გასულ სეზონში ფეხს იტკივებდა და ამიტომ მხოლოდ შვიდჯერ ითამაშა „ლივერპულის“ შემადგენლობაში. ახალი სეზონის მოახლოებასთან ერთად კი მან აღმოაჩინა, რომ შეიძლება საქმე მთლად ცუდად წაუვიდეს, რადგან მერსისაიდში კონტინენტიდან ბრუნო შეირუ, სალიფ დიაო და ალუ დიარა ჩავიდნენ და მათი ჩასვლის ფონზე ის აღარავის ახსოვდა.



ნიკი ბარმბი და ტერი ვენეიბლზი ძველი ნაცნობები არიან

„ლივერპულში“ ბარმბი ორი წლის წინ, იმავე ქალაქიდან, ოღონდ სხვა გუნდიდან, „ევერტონიდან“ გადავიდა 6 მილიონ გირვანქად. მას შემდეგ, ფეხბურთელმა „ლივერპულისთვის“ გვარიანი ოფლი ღვარა, მონაწილეობდა ლიგის, ფეხბურთის ასოციაციისა და უეფას თასის მოპოვებაში. გასული სეზონიც თითქოს კარგად დაიწყო — მიუნხენში, ინგლისის ნაკრებმა გერმანიისას 5:1 რომ მოუგო, იგი მოედანზე გახლდათ, მაგრამ მერე ფეხი იტკინა და თვალთახედვის არედან გაქრა.

„ლიდსში“, ძველი პედაგოგის ხელმძღვანელობით, ბარმბი, სავარაუდოდ, ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე გაირეკება, რათა მთელი სივრცე შესავსებად საბრალო ჰარი კიუელს არ დარჩეს. კიუელიც ამოისუნთქავს, კონკრეტული, მოზომილი ადგილის ნაცვლად აქეთ-იქით ირბენს და არ არის გამორიცხული, ორი თავდამსხმელის უკანაც დაბანაკდეს. აკი დაადასტურა ლიდსელთა თავმჯდომარე, პიტერ რიდსდეილმა, ბარმბის მოსვლა კიუელის ახალ როლში შესვლას მოემსახურებაო. კერძოდ ასე თქვა:

„ნიკი ვენეიბლზის საყვარელი ფეხბურთელია. თანაც, ვენეიბლზი კიუელს ხან აქეთ ათამაშებდა, ხან იქით, მაგრამ გუნდში ბალანსი ირღვეოდა. იმედი გვაქვს, რომ ნიკი ამ ნაკლს გამოგვისწორებს“.

სხვათა შორის, რიდსდეილმა დასძინა, რომ ვენეიბლზი მხოლოდ ერთ შენაძენს არ დასჯერდება. თან, მას მერე, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მათგან რიო ფერდინანდი იყიდა, ლიდსელთა სალარო 30 მილიონი გირვანქით შეივსო. ამას დავამატოთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ თებერვალში ეზედმეტებოდა ოთხი ფეხბურთელი, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ სამი კაცის გაყიდვას და შესაბამისი ფულის შემოსვლას უნდა ველოდოთ. ასე რომ, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში „ლიდსის“ ამბები იკითხეთ.

**ბაჩუნა ძიძია**



პოლ ინსი და დეივ ჯონსი

# ინსი გამგელდა

**პოლ ინსი** ოდესღაც ინგლისის ნაკრებში, იტალიურ „ინტერში“ და სხვა მოწინავე გუნდებში ბრწყინავდა, დღეს კი, 34 წლისა, პირველი დივიზიონის „ვულვერჰემპტონს“ შეუერთდა. ეს გასაკვირი იმიტომაა, რომ ნახევარმცველი „მიდლსბროდან“ წასვლის შემდეგ, ფეხბურთელის კარიერის დასრულებას ფიქრობდა.

„გასულ სეზონში, ოჯახური პრობლემების გამო „მიდლსბროდან“ რომ წამოვედი, გადავწყვიტე, ბურთის თამაშისთვის თავი დამენებებინა და მწვრთნელობა მეცადა, მაგრამ დეივ ჯონსმა დამირეკა და მითხრა, რომ უიღბლო წლის შემდეგ ახალ გეგმებს აწყობდა. კარგად მახსოვს, როგორ მოეცარა „ვულვზს“ ხელი. პირველი დივიზიონის თამაშებს თვალს ვადევნებ და მეგონა ეს კლუბი პრემიერლიგაში აუცილებლად ამოვიდოდა. მართლა ბრწყინვალედ თამაშობდნენ, ამიტომაც დეივის წინადადებამ გადაწყვეტილება შემაცვლევინა“ — ამბობს ინსი, რომელსაც „მგლებთან“ ერთად სეზონის წინა შეკრება, ბუნებრივია, არ გაუვლია და ამიტომ, კვირას, „ბრედფორდთან“ თამაშს, ალბათ, ტრიბუნიდან უყურებს.

„ახალ გუნდშიც ლიდერობას ვაპირებ. ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ გოლების გატანის გარდა მაინც ბევრი რამ შემიძლია. შემიძლია ახალგაზრდებს დავეხმარო, ისინი კი მე დამეხმარებიან. ორ-სამ კვირაში ფორმაშიც შევალ. ვნახოთ, ყველაფერი ვარჯიშზე გამოჩნდება“. — დასძინა ინსმა.

**ბაჩუნა ძიძია**

# ნიუკასლმა ერთი კორსეტი და ორი მოთამაშე გამოიწერა

**ბობი რობსონის** „ნიუკასლ იუნაიტედმა“ გუშინ საკუთარ „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ „ბარსელონასთან“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. უშუალოდ შეხვედრაზე ხვალინდელ „სარბიელში“ მოგითხრობთ, აქ კი სხვა ნიუკასლური ამბები მოვყვეთ.

„კაჭკაჭთა“ დამრიგებელმა ჟურნალისტებს ორი ახალი ფეხბურთელი წარუდგინა. ლისაბონის „სპორტინგიდან“ 8,5 მილიონ გირვანქად ნაყიდი უგო ვიანა და პირველ დივიზიონში გადასროლილი „იფსვიჩიდან“ 5 მილიონ გირვანქად ხელში ჩაგდებული ტიტუს ბრემლი.

რობსონი ვიანას მარცხენა ფრთაზე უპირებს გამწესებას, ანუ იქ, სადაც ჩვეულებრივ კლუბის ფრანგი ლეგიონერი ლორან რობერი თამაშობს. „მისთვის მარცხენა ფრთა ცოტა უჩვეულო იქნება, მაგრამ ვფიქრობ, უგო თავს არ შეარცხვენს, მას რობერის შეცვლა შეუძლია“ — შეაქო ახალწვეული რობსონმა.

და სად არის თავად რობერი? ფრანგი სამშობლოშია და შეიძლება, 3 თვე კორსეტით მოუწიოს სიარული.

„ნიუკასლის“ ჰოლანდიურ შეკრებაზე რობერმა ზურგის ტრავმა მიიღო და ახლა ექიმები მისი მკურნალობის ფორმაზე ფიქრობენ. „შეიძლება კორსეტიც დასჭირდეს. სხვათა შორის, ჩემი კლუბში მოსვლის დროს ენდი გრიფინიც 3 თვე კორსეტით დადიოდა — გაიხსენა რობსონმა და ტიტუს ბრემბლზეც თქვა — უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, ეგებ მეტი ხნითაც, მისი იმედი გვაქვს. ამ ბიჭს ყველაფერი აქვს — სისწრაფე, აზროვნება, პასი. მოკლედ, უმაღლესი კლასის ფეხბურთელია.“

**სერგი ბორიძე**



ლორან რობერს წელი საწყალი გაუხდა

# მე ვიცი, რა ჩაიდინეთ შარშან ზაფხულს

## სერ ალექსმა დრო და ცოცხი მოიხელთა

**ბოლო** ცხრა წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედი" პირველად დარჩა ხელმოცარული, ანუ გასულ სეზონში ვერაფერი მოიგო. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ცხვირწითელა შოტლანდიელმა მიზეზები მაინც გამოჩხრიკა.

მას შემდეგ, რაც "მანჩესტერი" ჩემპიონთალიგის ჯგუფურ ეტაპზე პირდაპირ ვერ მოხვდა, სერ ალექსმა კევის ღეჭვა შეწყვიტა და თქვა: „ეს არის პანღური, რომელიც გუნდმა დაიმსახურა". ფერგიუსონმა შეცდომებზე სიტყვა არ დაძრა, მით უმეტეს, საკუთარ შეცდომებზე თითქმის არ საუბრობს. იგი დიდხანს დუმდა და საბოლოოდ დამნაშავეებს მიაგნო. მან, არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე და მესამე გუნდების მწვრთნელებს დასდო ბრალი. ცხრამეტწლამდელთა დამრიგებელი თავკაცი დევიდ უილიამსი და მისი კოლეგა, ჩვიდმეტწლამდელთა ნილ ბეილი სამსახურიდან დაითხოვეს.

თერთმეტი წლის წინ მანჩესტერში „მიდლსბროს" ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი სტივ მაკლარენი მივიდა. სწორედ მას თვლიან „მანჩესტერის" „ოქროს თაობის" აღმზრდელად — მისი მეცადინეობით გაშალეს ფრთები პოლ სქოულზმა, ნიკი ბათმა, დევიდ ბექჰემმა, რაიან გიგზმა და ძმებმა ნევილებმა. მოგვიანებით, თავის აღზრდილებთან ერთად მაკლარენმა ძირითად გუნდში გადაინაცვლა, სადაც ალექს ფერგიუსონს ეხმარებოდა.

შარშანდელი სეზონის დაწყების წინ სტივ მაკლარენმა დამოუკიდებლად საქმიანობა ისურვა და „მიდლსბროში" გადაინაცვლა, სერ ალექსს კი კიდევ ერთი „ბარტყი", უესლი ბრაუნი დაუტოვა.

ფერგიუსონმა დაკვირვებების შედეგად აღმოაჩინა: „აღმზრდელის" წასვლის შემდეგ ძირითად გუნდში ახალგაზრდებიდან არავინ აუყვანია, პირიქით, 20-წლამდელი 19 ფეხბურთელი, რომელზეც კლუბი წლობით ფულს ხარჯავდა, ინგლისის ქვედა დივიზიონებში გადავიდა. მათგან ვინც დარჩა, კი ძნელად რომ საშუალო დონის მოთამაშე გამოვიდეს. გამონაკლისი მხოლოდ ორია — კირონ რიჩარდსონი და შოტლანდიელი დარენ ფლეტჩერი. ისინი უკვე ძირითად შემადგენლობასთან ვარჯიშობენ და ფერგიუსონის იმედებს ჯერჯერობით ამართლებენ.

ცხვირწითელმა შოტლანდიელმა დევიდ უილიამსი და ნილ ბეილი არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა — წელიწადში ორი რაა, 4-5 ნიჭიერი მოთამაშე უნდა მოგვაწოდოთ, თქვენ კი შარშანდელი ზაფხულის აქეთ უსაქმურობით დაღლილხართო.

მოკლედ, სტივ მაკლარენის შემცვლელის ძიებაში ფერგიუსონმა პორტუგალიელ კარლოს კეიროშს მიაგნო. ამიერიდან კეიროში შოტლანდიელის მარჯვენა ხელი იქნება და მაკლარენის ყველა ფუნქციას შეასრულებს.

უილიამსი და ბეილი ჯიმ რაიანმა და ბრაიან მაკლარენმა შეცვალეს. მაკლარენი განსაკუთრებით კარგ ურთიერთობაშია ფერგიუსონთან. ის, ლეს კერშოუსთან ერთად, მანჩესტერული საფეხბურთო აკადემიის ჯიგარია.

კარლოს კეიროშის რეკომენდაციით, აკადემიაში 62 წლის ბრაზილიელი ფრანსისკო ფილიუ მიიწვიეს. იგი საფრანგეთში, კლერფონტენის საფეხბურთო აკადემიაში მუშაობდა და ისეთი ბიჭები გაუზრდია, როგორებიც ჟან პიერ პაპენი და ტიერი ანრი არიან.

კეიროშთან ერთად მთავარ გუნდში სერ ალექსს თვით როი კინიც მოეხმარება. ირლანდიელი, ცხადია, ფეხბურთის თამაშს გააგრძელებს, თუმცა სამწვრთნელო პროცესის დროს გაფართოებული უფლებებით ისარგებლებს.

ამ გადანაცვლებებს დაემთხვა რიო ფერდინანდის ყიდვაც. „მანჩესტერი" იძულებული იყო, ასეთ ნაბიჯზე წასულიყო და მცველში 33 მილიონი გირვანქა გადაიხადა, რადგან დაცვას ნამდვილად გაძლიერება სჭირდებოდა.

33 მილიონი საფეხბურთო აკადემიას რამდენიმე წელიწადი ეყოფოდა, ჰოდა, მომავალშიც რომ დიდძალი თანხების ფანტვამ არ მოუწიოს, ამიტომაც აქცევენ უდიდეს ყურადღებას მომავალი ფეხბურთელების საკუთარ ბუდეში აღზრდას.

**გაგა ხუციშვილი**



ალექს ფერგიუსონი შვილიშვილებთან ერთობა და ახალი თაობის უხეირობაზე წუწუნებს

# ნიგერია პატრონს ჩაბარდა

## ხალხი სხვა პატრონს ელოდა

**მსოფლიოს ჩემპიონატით** გაწბილებულ ნიგერიული ფეხბურთის მაღალჩინოსნებს ნაკრების ახალი მწვრთნელის ძებნაში თანამემამულე კრისტიან ჩუკვუ შერჩათ ხელთ. ჩუკვუ 1976-82 წლებში ნიგერიის ნაკრების კაპიტანი იყო და 1980 წელს აფრიკის ჩემპიონიც გამხდარა. მისი ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა კი თვით ნიგერიაშიც ბევრისთვის მოულოდნელი და უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა.

„ის დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მწვრთნელად არ ვარგა" — გაიძახის ადგილობრივი მედია. სამაგიეროდ, სულ სხვა აზრზეა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ტაივო ოგუნჯოვი: „შესანიშნავი არჩევანი გავაკეთეთ. თუ ყველანი მხარში დავუდგებით, აუცილებლად გაიმარჯვებს."

გენერალური მდივნის აზრს უმრავლესობა არ იზიარებს. საქმე ისაა, რომ 1994 წლის შემდეგ (მაშინ ჩუკვუ ნაკრებში ჰოლანდიელი კლემენს ვესტერჰოფის ასისტენტი იყო) მას არაფერი მოუგია. მუშაობდა ლიბანში და კენიაში, ამ უკანასკნელის ნაკრებიდან ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

„მე კენიის ნაკრები აფრიკის თასზე გავიყვანე. იქაური ფეხბურთი ავალორძინე" — არ ეთანხმება კრიტიკოსებს ჩუკვუ.

52 წლის სპეციალისტმა პირველი პრესკონფერენცია გამართა, სადაც ხალხს გამარჯვებებს შეჰპირდა: „იმედს არ გაგიცრუებთ. მჯერა, ჩემს ხელში ნაკრები წინა მსოფლიოს ჩემპიონატებთან შედარებით უფრო შორს გააღწევს. ვიცი, ეს როგორც გავაკეთო" — განაცხადა მწვრთნელმა.

ამასობაში კი ნიგერიელები თავიანთი ვარსკვლავების ევროპული ფეხბურთის ავანსცენიდან წასვლას მძიმედ განიცდიან. ჩუკვუსადმი უნდობლობაც ნაწილობრივ ამით აიხსნება. ადრინდელთან შედარებით ცუდი ფეხბურთელებით ისედაც სუსტი მწვრთნელი კარგ გუნდს ვერ შექმნისო.

ჩუკვუ ეროვნული გუნდის მწვრთნელად 2004 წლის აფრიკის თასის გათამაშებამდე იქნება. გაგრძელდება თუ არა ხელშეკრულება, ჩუკვუსა და მის ბიჭებზეა დამოკიდებული და კიდევ ერთი: ნიგერიის ფეხბურთის ჩინოვნიკებმა უცხოელი სპეციალისტის გარეშე ჩუკვუს წარმატებისა მაინც ვერ ირწმუნეს და ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ცოტა ხანში ცნობილი გახდება უცხოელი მწვრთნელის გვარი, რომელსაც ჩუკვუსა და საერთოდ ნიგერიის ყველა ასაკის ნაკრებების კურატორობა დაევალება.

**სერგი ძორიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბი „პორტსმუთი" იტალიის ნაკრების ყოფილ წევრ ანტონიო ბენარივოსთან აწარმოებს მოლაპარაკებას მას შემდეგ, რაც 34 წლის მცველი „პარმამ" ტრანსფერზე დააყენა. „ფეხბურთელთან პრინციპულ საკითხებზე უკვე შევთანხმდით, იმედი გვაქვს, გამოცდილ იტალიელს უახლოეს ორ დღეში გადმოვიბირებთ და ის ჩვენ პრემიერლიგაში გადასვლაში დაგვეხმარება" — განაცხადა „პორტსმუთის" შეფმა პიტერ სტორიმ. „პორტსმუთმა" კი ამასობაში „ასტონ ვილადან" პოლ მერსონი აიყვანა თავისუფალი აგენტის სტატუსით.

**ეკვადორის ნაკრების თავდამსხმელ აგუსტინ დელგადოს „საუთჰემპტონის" დატოვება და კლუბისთვის ჯარიმის გადახდა მოუწევს. 27 წლის ფეხბურთელი კლუბის შეკრებაზე დათქმულ დროს არ ჩავიდა. ამის გამო ის ტრანსფერზე დააყენეს. „დელგადომ ახალი გუნდი უნდა მონახოს. მან კონტრაქტის პირობა დაარღვია და ჩვენთან ველარ დარჩება" — განაცხადა „საუთჰემპტონის" თავმჯდომარემ რუპერტ ლოუმ. ცნობისთვის, ინგლისურმა კლუბმა ეკვადორელი შარშან ნოემბერში მექსიკური „ნეკაქსასგან" შეიძინა. მას მერე თავდამსხმელმა ამ კლუბში სულ ორი მატჩი ჩაატარა.**

**გერმანელ** ფორვარდ ფრედი ბობიჩთან პრემიერლიგური „ბოლტონი" აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა ფეხბურთელი თავისთან კიდევ ერთი სეზონით დაიტოვოს. შეგახსენებთ, რომ ბობიჩი დორტმუნდის „ბორუსიამ" შარშან იჯარით გაუშვა პრემიერლიგაში, სადაც მან 14 მატჩში 4 გოლი გაიტანა. „გერმანელებს თხოვნით მივმართეთ, რათა მათ ფრედი ჩვენთან დატოვონ. ის გუნდისთვის შეუცვლელი მოთამაშეა" — თქვა „ბოლტონის" თავმჯდომარემ.

**ნიგერიის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი მსოფლიოს ჩემპიონატზე გრასჰოპერელი ფემი ოპაბუნმი უახლოეს დღეებში საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონთან" გააფორმებს კონტრაქტს. „გრასჰოპერს" უკვე მივმართე თხოვნით ტრანსფერს დათანხმებოდა. იმედი მაქვს, ახალ კლუბში მალე ჩავირიცხები და ჩემპიონთა ლიგაშიც მოვახერხებ თამაშს" — განაცხადა ნიგერიელმა, რომელსაც 17 წელი მარტში შეუსრულდა. მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი მატჩი ჩაატარა, ინგლისთან შეცვლაზე შევიდა.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბმა „უოტფორდმა" ვალების გამო სტადიონი „ვიქარიჯ როუდი" ლონდონის საფონდო ბირჟაზე 6 მილიონ გირვანქად გაყიდა, თუმც იმ პირობით, რომ მას უფლება აქვს, არენა უკან გამოისყიდოს. კლუბის მენეჯერი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში, ალბათ, ასეც მოხდება და „უოტფორდს" სტადიონის შეცვლა არ მოუწევს. ცნობისთვის, ამ გუნდს შარშან იტალიელი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი ედგა სათავეში და პრემიერლიგაში დაბრუნებას გეგმავდა: თუმც საბოლოოდ მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა.

**ხორვატიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი რობერტ პროსინეჩკი სლოვენიაში ჩავიდა და ლიუბლიანის „ოლიმპიასთან" გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. ცნობისთვის, მადრიდის „რეალის" და „ბარსელონას" ყოფილი მოთამაშე ახლა 34 წლისაა. პროსინეჩკის თანამემამულე მეკარე სტიპე პლეტიკოშასთან კი ინგლისის პრემიერლიგის ახალწვეული „მანჩესტერ სიტი" აწარმოებს მოლაპარაკებას. როგორც იუწყებიან, ძირითად საკითხებზე შეთანხმება ინგლისურ კლუბსა და სპლიტის „ჰაიდუკს" შორის უკვე მიღწეულია.**

**პოლონელმა** მეკარემ რადოსლავ მაიდანმა კარიერის გაგრძელება საბერძნეთში არჩია და სალონიკის პაოკ-თან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა მხარეთა სურვილის შემთხვევაში შესაძლოა, შეთანხმება გაახანგრძლივონ. მაიდანი ახლა 30 წლისაა, წინა სეზონი მან პოლონურ კლუბ „პოგონში" გაატარა. იგი მიწვეული იყო პოლონეთის ნაკრებშიც და ერთი მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჩაატარა აშშ-ს ნაკრების წინააღმდეგ. ისე კი მაიდანს სულ ექვსჯერ უთამაშია ეროვნულ გუნდში.

**ნიგერიის ნაკრების მცველ ისაკ ოკორონკვოს შეძენით საამიროული გუნდი „შარაი ეს-სი" დაინტერესდა. ეს გუნდი ამ სეზონისთვის საგრძნობლად გაძლიერდა და ერთი წლით ფრანგი მწვრთნელი პოლ დე ლიზარდი მიიწვია სამუშაოდ. „ნიგერიელ ოკორონკვოს თამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახე და ძალიან მომეწონა. იმედი მაქვს, ის ჩვენს გუნდს გააძლიერებს" — ბრძანა ფრანგმა სპეციალისტმა.**

**კამერუნის** ნაკრების ნახევარმცველი მარკ ვივიენ ფოე „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში პრემიერლიგის პირველი ტურიდანვე შეძლებს თამაშს. საქმე ის გახლავთ, რომ ფოე ადრე „ვესტ ჰემში" თამაშობდა და ლონდონურ კლუბში თავისი უკანასკნელი მატჩისას წითელი ბარათი მიიღო, რისთვისაც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამის შემდეგ კამერუნელი ფრანგულ „ლიონში" გადავიდა და გარკვეული პერიოდი იქ ითამაშა. ახლა, როცა ფოე კვლავ ინგლისში დაბრუნდა, „სიტის" ხელმძღვანელობა მისი დისკვალიფიკაციით დაინტერესდა და ფეხბურთის ასოციაციაში ფაქსი გააგზავნა, საიდანაც დაუდასტურეს, რომ ფოეს დისკვალიფიკაცია ძალაში აღარაა.

**ბელარუსი თავდამსხმელი ვიტალი კუტუზოვი „მილანმა" ერთი სეზონით ლისაბონის „სპორტინგში" გაანათხოვრა. ცნობისთვის, რამდენიმე დღის წინ „შავ-წითელთა" რიგები კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მასიმო დონატიმ დატოვა. ის „პარმაში" გაუშვეს ასევე ერთწლიანი იჯარით. „მილანის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ორივე ფეხბურთელის დაბრუნებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბელარუსი კუტუზოვი „მილანმა" წინა სეზონში ბატე-დან ერთ მილიონ დოლარად შეიძინა.**

# კორეამ ტურისტები გაატყავა

*2002 წლის მსოფლიოს პირველობა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, თუმც მასზე კიდევ ბევრჯერ დაიწერება. ქვემოთ გაეცანით შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ კი კორეაში ჩასულ ტურისტთა მიერ დახარჯულ თანხებს.*

*კორეის ეროვნულმა ტურისტულმა სააგენტომ დაითვალა, რომ მათი სამშობლო 403,5 ათასმა ტურისტმა მოინახულა. აქედან 232,8 ათასი (57,7%) თავიანთი ნაკრების საგულშემატკივროდ ჩასულა კორეაში და მათ 549 მილიონი დოლარი დახარჯეს, ესე იგი, კაცზე საშუალოდ 2,242 ათასი დოლარი მოდის. ამ თანხაში შედის სასტუმროებში (433 დოლარი), ბილეთებში (890 დოლარი), სუვენირებსა (457 დოლარი) და საჭმელში (299 დოლარი) დახარჯული ფული.*

*რაც შეეხება 170,600 ათას უბრალო მოგზაურს, ისინი უფრო ხელგაშლილები ყოფილან. მათ ჯამში 731,5 მილიონი დოლარი დაუხარჯავთ.*

*სულ ტურიზმით კორეა 1 280 800 000 დოლარით გამდიდრდა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## იტალია

### სერია A

## იუვენტუსი

### წავიდნენ

ენცო მარესკა (პიაჩენცა)
ნიკოლა ამორუზო (პერუჯა)
ფაბრიციო მიკოლი (პერუჯა)
ვენსან პერიკარი (პორტსმუთი, ინგლისი)
დანიელ ფონსეკა (ნასიონალი, ურუგვაი)
ფაბიან ონილი (პერუჯა)
რონი ობრაიენი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია)
მანუელე ბლაზი (პერუჯა)
ალესანდრო ფრარა (ბოლონია)
ჯუზეპე სკული (კროტონე)
ტომას გუზმანი (ტერნანა)
მიკელე პარამატი (ატალანტა)
ფაბიო კარინი (არსენალი, ინგლისი)
მასიმილიანო ვიერი (ვერონა)

### მოვიდნენ

დავიდე ბაიოკო (პერუჯა)
მატეო ბრიგი (ბოლონია)
მარკო ბრიგი (რიმინი)
ანტონიო კიმენტი (ლეჩე)
სალვატორე ფრეზი (ბოლონია)
ემილიანო მორეტი (ფიორენტინა)
მაურო კამორანეზი (ვერონა)
დარიო ბაჩინი (ნაპოლი)
დანიელე გასტალდელო (ანკონა)
მარკო ძანკი (ვერონა)
მასიმილიანო ვიერი (ანკონა)
გოდეასი (ვერონა)

## რომა

### წავიდნენ

მარკოს ასუნსაო (ბეტისი, ესპანეთი)
ანტონიო კარლოს ძაგო (ბეშიქთაში, თურქეთი)
სებასტიან სივილია (პარმა)
ანტონიო კეიასი (ასკოლი)
სიმონე პეპე (ტერნანა)
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

### მოვიდნენ

დავიდე ბომბარდინი (პალერმო)
ხოსეპ გვარდიოლა (ბრეშა)
ლუიჯი სარტორი (პარმა)
ტრაიანოს დელასი (პერუჯა)
| 2 | ჟირონდა ბორდო (6) | 26.10 | | 22.03 | 10.05 | 21.12 | : | 15.01 | 12.04 | 24.08 | 21.09 | 08.02 | 23.11 | 01.03 | 05.10 | 14.12 | 09.11 | 03.05 | 29.01 | 04.06 | 11.09 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 3 | ნანტი (10) | 18.01 | 02.11 | | 08.03 | 30.11 | 19.04 | 10.05 | 14.09 | 16.11 | 24.08 | : | 22.02 | 21.12 | 15.01 | 19.10 | 05.02 | 28.09 | 04.06 | 05.04 | 14.12 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 4 | ლე ჰავრი ატლეტიკი (ლ) | 22.03 | 04.12 | 26.10 | | 15.01 | 24.08 | 11.09 | 09.11 | 21.12 | 24.05 | 01.03 | 03.05 | 05.10 | 08.02 | 04.06 | 12.04 | 23.11 | 21.09 | : | 29.01 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5 | მონპელიე (13) | 04.12 | 17.08 | 03.05 | 31.08 | | 28.09 | 01.03 | 24.05 | 05.02 | 05.10 | 23.11 | 18.01 | 12.04 | 09.11 | 11.01 | 1:0 | 18.12 | 22.03 | 14.09 | 26.10 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | პარი სენ ჟერმენი პარიზი (4) | 03.05 | 18.12 | 23.11 | 11.01 | 08.02 | | 05.10 | 04.12 | 14.09 | 12.04 | 21.09 | 17.08 | 09.11 | 22.03 | 31.08 | 24.05 | 1:0 | 26.10 | 18.01 | 01.03 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | ან ავან გენგამი (16) | 24.05 | 31.08 | 04.12 | 18.01 | 19.10 | 22.02 | | 3:3 | 28.09 | 03.05 | 12.04 | 18.12 | 23.11 | 26.10 | 14.09 | 17.08 | 11.01 | 09.11 | 05.02 | 22.03 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 8 | ოლიმპიკ ლიონი (1) | 21.09 | 16.11 | 29.01 | 05.04 | 14.12 | 10.05 | 04.06 | | 30.11 | 11.09 | 24.08 | 08.03 | 15.01 | : | 02.11 | 22.02 | 19.10 | 21.12 | 19.04 | 08.02 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| 9 | რასინგი სტრასბური (ლ) | 23.11 | 11.01 | 12.04 | 17.08 | 21.09 | 29.01 | 08.02 | 03.05 | | 09.11 | 26.10 | 1:1 | 22.03 | 11.09 | 18.12 | 04.12 | 24.05 | 01.03 | 31.08 | 05.10 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | რასინგი ლანსი (2) | 31.08 | 05.02 | 11.01 | 14.12 | 22.02 | 16.11 | 30.11 | 18.01 | 05.04 | | 04.06 | 19.10 | : | 21.12 | 08.03 | 14.09 | 02.11 | 19.04 | 28.09 | 10.05 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 11 | სპორტინგი ბასტია (11) | 17.08 | 28.09 | 18.12 | 19.10 | 19.04 | 05.02 | 16.11 | 11.01 | 08.03 | 1:1 | | 14.09 | 24.05 | 04.12 | 22.02 | 31.08 | 18.01 | 30.11 | 02.11 | 05.04 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | აიაჩო (ლ) | 12.04 | 19.04 | 05.10 | 30.11 | 11.09 | 21.12 | : | 26.10 | 04.06 | 01.03 | 29.01 | | 21.09 | 24.08 | 10.05 | 22.03 | 09.11 | 08.02 | 14.12 | 15.01 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 13 | სოშო (8) | 11.01 | 19.10 | 17.08 | 22.02 | 16.11 | 05.04 | 19.04 | 31.08 | 02.11 | 18.12 | 14.12 | 05.02 | | 04.06 | 28.09 | 18.01 | 14.09 | 10.05 | 08.03 | 30.11 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 14 | სედანი არდენი (14) | 14.09 | 22.02 | 31.08 | 28.09 | 05.04 | 02.11 | 08.03 | 18.12 | 18.01 | 17.08 | 10.05 | 11.01 | 0:0 | | 30.11 | 19.10 | 05.02 | 14.12 | 16.11 | 19.04 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 15 | ნიცა (ლ) | 09.11 | 24.05 | 01.03 | 1:2 | 24.08 | 15.01 | 29.01 | 22.03 | : | 26.10 | 05.10 | 04.12 | 08.02 | 03.05 | | 23.11 | 12.04 | 11.09 | 21.12 | 21.09 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 16 | სტად რენი (12) | 08.02 | 05.04 | 21.09 | 16.11 | 04.06 | 14.12 | 21.12 | 05.10 | 10.05 | 29.01 | 15.01 | 02.11 | 11.09 | 01.03 | 19.04 | | 08.03 | 24.08 | 30.11 | : | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 17 | ჟენესი ოსერი (3) | 05.10 | 30.11 | 08.02 | 19.04 | : | 04.06 | 24.08 | 01.03 | 14.12 | 22.03 | 11.09 | 05.04 | 29.01 | 21.09 | 16.11 | 26.10 | | 15.01 | 10.05 | 21.12 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 18 | ოლიმპიკ მარსელი (9) | 18.12 | 14.09 | 0:2 | 05.02 | 02.11 | 08.03 | 05.04 | 17.08 | 19.10 | 23.11 | 03.05 | 28.09 | 04.12 | 24.05 | 18.01 | 11.01 | 31.08 | | 22.02 | 16.11 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 19 | ოლიმპიკ სპორტინგ მეტროპოლი ლილი (5) | 01.03 | 0:3 | 09.11 | 18.12 | 29.01 | 11.09 | 21.09 | 23.11 | 15.01 | 08.02 | 22.03 | 24.05 | 26.10 | 12.04 | 17.08 | 03.05 | 04.12 | 05.10 | | 24.08 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 20 | ესპერანს სპორტივი ტრუა (7) | 0:4 | 18.01 | 24.05 | 14.09 | 08.03 | 19.10 | 02.11 | 28.09 | 22.02 | 04.12 | 09.11 | 31.08 | 03.05 | 23.11 | 05.02 | 18.12 | 17.08 | 12.04 | 11.01 | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

## საფრანგეთი. მეორე დივიზიონი. 2001-02. II ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08.02 | 23.00 | 085 | 0:1შატორუ; ბოვე V კლერმონი ნიორი1:1; | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 23.00 | 086 | ვალანსი3:1; კაენი V შატორუ ბოვე1:0; | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 | - | 1:1 2:0 | 1:1 1:0 | 0:0 4:1 |
| 10.08.02 | 23.00 | 087 | 3:2ნანსი; კრეტეი V ლავალი ვასკეალი1:0; | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 | - | 1:2 0:0 | 4:0 2:3 | 0:1 2:0 |
| 10.08.02 | 23.00 | 088 | 1:0ამიენი; ლე მანი V გენიონი მეცი0:2; | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 | - | 1:1 2:3 | 0:0 2:1 | 1:2 1:1 |
| 10.08.02 | 23.00 | 089 | 2:0გენიონი; მეცი V რეიმსი ლორიანი1:3; | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 23.00 | 091 | 1:1კლერმონი; ნიორი V ამიენი ლე მანი0:1; | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 | - | 2:0 2:2 | - | 0:0 1:2 |
| 10.08.02 | 23.00 | 092 | 0:1გრენობლი; სენტ ეტიენი V ისტრი ტულუზი0:4; | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 | - | 1:2 0:1 | - | - |
| 10.08.02 | 23.00 | 093 | 1:3კაენი; ვალანსი V ნანსი კრეტეი2:3; | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 23.00 | 094 | 0:1ლავალი; ვასკალი V გრენობლი სენტ ეტიენი1:0; | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 | - | 1:2 1:0 | - | - |
| 11.08.02 | 21.30 | 095 | 3:1რეიმსი; ლორიანი V ტულუზი 4:0ისტრი; | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 | - | - | - | 1:1 0:5 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტულუზი (ლ) | | | 31.08 | 17.08 | 05.10 | | | | 26.10 | 09.11 | | | 11.09 | | 30.11 | 21.09 | | 18.12 | | | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| 2 | ლორიანი (ლ) | : | | 05.10 | | | 30.11 | 31.08 | 09.11 | | | 11.09 | 21.09 | | | | 26.10 | 18.12 | | | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3 | კაენი (6) | | | | | | | 02.11 | 24.08 | : | 04.09 | 16.11 | | | 04.12 | 14.09 | | 3:1 | 28.09 | | 19.10 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | მეცი (ლ) | | 24.08 | 30.11 | | 26.10 | | | | 09.11 | | | | 21.09 | 05.10 | 18.12 | 11.09 | | : | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5 | კრეტეი (18) | | 14.09 | 18.12 | | | 24.08 | 19.10 | : | | | 02.11 | | | 16.11 | 04.09 | | | | | 28.09 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| 6 | გრენობლი (16) | 16.11 | | 11.09 | 04.12 | | | | | 21.09 | 05.10 | 17.08 | | 1:0 | 31.08 | 19.10 | | | | | 02.11 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | ლე მანი (5) | 24.08 | | | 04.09 | | 18.12 | | 30.11 | | | 21.09 | 05.10 | | 09.11 | | | 26.10 | | : | | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8 | სტად ლავალი (10) | 02.11 | | | 16.11 | | 28.09 | | | 11.09 | | | | 04.12 | 17.08 | | 1:0 | 31.08 | 14.09 | 19.10 | | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | შატორუ (8) | | 02.11 | | | 17.08 | | 16.11 | | | 14.09 | 04.12 | 31.08 | | 1:0 | 28.09 | | | 19.10 | 04.09 | | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | კლერმონი (ლ) | | 19.10 | | 28.09 | 31.08 | | 04.12 | 21.09 | | | 1:1 | 11.09 | | | | | 17.08 | 16.11 | 02.11 | | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | შამუა ნიორი (11) | 04.09 | | | 14.09 | | | | 18.12 | | | | 30.11 | 28.09 | 26.10 | : | | 09.11 | | | 24.08 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 12 | ნანსი ლორენი (9) | 19.10 | | 16.08 | 02.11 | 2:3 | 14.09 | | 04.09 | | | | | 16.11 | | 24.08 | 04.12 | | | 28.09 | | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 13 | სენტ ეტიენი (13) | | 04.09 | 26.10 | | 09.11 | | 14.09 | | 30.11 | 18.12 | | | | | | 05.10 | | 25.08 | | : | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 14 | ბოვე ოაზა (7) | 14.09 | 28.09 | | | | | | | | : | | 18.12 | 19.10 | | | 02.11 | 30.11 | | 24.08 | 04.09 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 15 | ამიენი (12) | | 04.12 | | | | | 0:1 | 05.10 | | 26.10 | | | 17.08 | 21.09 | | 31.08 | 11.09 | 02.11 | | 16.11 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 16 | ვასკალი (15) | | | 09.11 | | 30.11 | : | 28.09 | | 18.12 | 24.08 | 19.10 | | | | | | | 04.09 | | 14.09 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 17 | ვალანსი (ლ) | 28.09 | | | 19.10 | 04.12 | 04.09 | | | 24.08 | | | : | 02.11 | | | 16.11 | | | 14.09 | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 18 | რეიმსი (ლ) | | 1:3 | | | 21.09 | 09.11 | 17.08 | | | | 31.08 | 26.10 | | 11.09 | | | 05.10 | | 30.11 | 04.12 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 19 | გენიონი (14) | 04.12 | 16.11 | 21.09 | 0:2 | 11.09 | 26.10 | | | | | 05.10 | | 31.08 | | 09.11 | 17.08 | | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 20 | ისტრი (17) | 0:4 | 17.08 | | 31.08 | | | 11.09 | 26.10 | 05.10 | 30.11 | | 09.11 | | | | | 21.09 | | 18.12 | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

## ჩეხეთი. უმაღლესი ლიგა. 2001-02. III ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2001-02 | 2000-01 | 1999-00 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08.02 | 17.25 | 105 | 3:1ბუდეიოვიცე; ტეპლიცე1:0; სპარტა V ბანიკი ტეპლიცე5:1; 1:1ზლინი; | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 | : | 0:1 4:0 | 5:1 4:1 | 3:0 2:0 |
| 10.08.02 | 20.00 | 107 | 1:0ბრნო; 0:0სიგმა; ლიბერეცი V სინოტი სიგმა1:1; 1:2იაბლონეცი; | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 | : | 2:0 4:1 | 2:2 2:1 | - |
| 11.08.02 | 19.30 | 109 | 0:1ბლშანი; სლავია1:1; ჰრადეც კრალოვე V ჟიჟკოვი ზლინი1:0; 1:1ბლშანი; | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 | - | 0:0 1:2 | - | 1:2 0:0 |
| 11.08.02 | 19.30 | 110 | 0:1ჟიჟკოვი; ბანიკი1:1; ზლინი V იაბლონეცი პრჟიბრამი1:0; სინოტი2:1; | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 | - | - | - | - |
| 11.08.02 | 19.30 | 111 | 1:1სინოტი; ლიბერეცი0:0; სიგმა V ბლშანი ჰრადეც კრალოვე1:0; ჟიჟკოვი1:1; | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 | - | 1:3 3:1 | 0:0 3:0 | 0:1 0:1 |
| 11.08.02 | 19.30 | 112 | 1:4სლავია; ბუდეიოვიცე2:3; ბოჰემიანსი V ბრნო ლიბერეცი0:1; 0:0პრჟიბრამი; | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 | - | 1:0 3:0 | 2:0 0:0 | 1:1 0:0 |
| 11.08.02 | 19.30 | 113 | 1:5ბანიკი; 0:1სპარტა; ტეპლიცე V ბუდეიოვიცე სპარტა1:3; 3:2ბოჰემიანსი; | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 | - | - | 2:2 4:1 | 1:3 3:0 |
| 12.08.02 | 19.00 | 114 | 0:1იაბლონეცი; ბრნო0:0; პრჟიბრამი V სლავია ბოჰემიანსი4:1; 1:1ჰრადეც კრალოვე; | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 | - | 0:0 2:3 | 2:1 0:0 | 1:1 1:3 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტა პრაღა (2) | | | : | | 15.09 | 20.10 | | | | 25.08 | | 17.11 | 29.09 | | 03.11 | 1:0 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2 | ნისოუს იაბლონეცი (8) | 27.10 | | 10.11 | | | 25.08 | 15.09 | | | 2:1 | | | 1:0 | | 07.10 | | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3 | ბანიკი ოსტრავა (6) | | | | 20.10 | | 17.11 | | | 18.08 | 22.09 | 03.11 | | 01.09 | 07.10 | | 5:1 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4 | სლავია პრაღა (5) | 22.09 | 18.08 | | | 03.11 | | 07.10 | | 17.11 | | | 01.09 | | 27.10 | 4:1 | | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 5 | ხმელი ბლშანი (14) | | 01.09 | 27.10 | | | 1:1 | | 07.10 | | 10.11 | 1:0 | 18.08 | | | 22.09 | | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | ვიქტორია ჟიჟკოვი პრაღა (3) | | | | 10.11 | | | 27.10 | | 01.09 | 07.10 | | 1:0 | 22.09 | | 18.08 | | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7 | სლოვანი ლიბერეცი (1) | 18.08 | | 29.09 | | 20.10 | | | 22.09 | | : | | 03.11 | 17.11 | | | 01.09 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 8 | ჩესკე ბუდეიოვიცე (ლ) | 1:3 | 20.10 | 25.08 | 15.09 | | 29.09 | | | 03.11 | | 17.11 | | | | | | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| 9 | სიგმა ოლომოუცი (10) | 10.11 | 29.09 | | | : | | 0:0 | | | | 15.09 | | | 25.08 | | 27.10 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 10 | სინოტი სტარე მესტო (11) | | | | 29.09 | | | | 01.09 | 1:1 | | | 20.10 | 03.11 | 15.09 | 17.11 | 18.08 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 11 | ჰრადეც კრალოვე (12) | 07.10 | 22.09 | | 1:1 | | : | 10.11 | | | 27.10 | | | 18.08 | | 01.09 | | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 12 | ზლინი (ლ) | | : | 1:1 | | | | | 27.10 | 22.09 | | 25.08 | | | 10.11 | | 07.10 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 13 | დუკლა პრშიბრამი (13) | | | | : | 25.08 | | | 10.11 | 07.10 | | | 15.09 | | 0:0 | 27.10 | | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 14 | ბობი ბრნო (9) | 01.09 | 17.11 | | | 29.09 | 03.11 | 0:1 | 18.08 | | | 20.10 | | | | | 22.09 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 15 | ბოჰემიანსი პრაღა (4) | | | 15.09 | | | | 25.08 | 2:3 | 20.10 | | | 29.09 | | : | | 10.11 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| 16 | ტეპლიცე (7) | | 03.11 | | 25.08 | 17.11 | 15.09 | | : | | | 29.09 | | 20.10 | | | | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტეფანია გამოჩნდა. ისევ მაიამიში

*ვლადიმერ სტეფანია „მაიამი ჰითში" რჩება. 6 აგვისტოს ქართველმა ცენტრმა ძველ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. მხარეებმა არ ისურვეს ხელშეკრულების მთავარი პირობების გახმაურება, მაგრამ „მაიამი ჰერალდმა" გამოიკვლია და გამოაქვეყნა, რომ კონტრაქტი ერთწლიანი და 1,2-მილიონიანია.*



ვლადიმერ სტეფანია: ისევ „ჰითი", ისევ პატ რაილი

**ამგვარად,** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პირველი ქართველი სტუმარი თავის მეხუთე ნბა-ურ სეზონს თავის მესამე გუნდში ევლება. სტეფანია 2001 წლის ოქტომბრიდანაა „მაიამიში" და ამ გუნდის 50-ნომრიანი მაისურით 2001-02 წლების სეზონი წინა სამზე სტაბილურად და სოლიდურად ჩაატარა, რაზეც ციფრებიც მეტყველებს: ჯოვამ რეგულარული სეზონის 82 მატჩიდან მისთვის სარეკორდო 67-ში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ მოედანზე 13,2 წუთით ყოვნდებოდა. ამ 13,2 წუთში ის 4,3 ქულას და 4,0 მოხსნას აკეთებდა. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი საუკეთესოა მის კარიერაში. „მაიამიშივე" ჩაატარა სტეფანიამ კარიერის ყველაზე წარმატებული მატჩი — 16 ნოემბერს მან „შარლოტთან" შეხვედრაში 19 ქულა, 12 მოხსნა და 7 დაფარება შეაგროვა. ჩვენებური ასევე კარგად გაისარჯა „მაიამიში" სადებიუტო, „სიეტლთან" მატჩში — 15 წუთში 10 ქულა და ოთხი მოხსნა მიითვალა. შეგახსენებთ, „სიეტლი" ის გუნდია, რომელმაც ქართველი 1998 წლის დრაფტში 27-ე ნომრად აიყვანა და რომელშიც ჯოვამ პირველი ორი სეზონი გაატარა.

ციფრები ციფრებად და, სტეფანიას მართლა რიგიანი სეზონი ჰქონდა „მაიამიში". 213-სანტიმეტრიანი ქართველი „ჰითის" ლიდერ და ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრ ალონზო მურნინგის კარგ შემცვლელად ჩამოყალიბდა და თირკმლის ავადმყოფობით დამაშვრალ მურნინგს შეძლებისდაგვარად დიდი ხნით ასვენებდა. „მაიამის" მწვრთნელი და პრეზიდენტი, ლეგენდარული პატ რაილი სტეფანიათი კმაყოფილი უნდა იყოს, რაკილა მას კონტრაქტი განუახლა და გუნდის სამომავლო გეგმებში წამყვან თუ არა, ბოლო შემსრულებლადაც არ ჩაწერა.

საზოგადოდ, „მაიამის" ურიგო სეზონი ჰქონდა. გუნდი თავიდანვე ტრადიციულად, აღმოსავლეთში ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო საერთოდ ვერ მოხვდა პლეი ოფში. ეს იყო პირველი უპლეიოფო სეზონი პატ რაილის 20-წლიან სამწვრთნელო კარიერაში.

ახლა „მაიამი" ყველაფერს აკეთებს ელიტაში დასაბრუნებლად. „ჰითმა" წლევანდელ დრაფტში მე-10 ნომრად აიყვანა კონექტიკუტელი კარონ ბატლერი, რომელზეც სპეციალისტები ამბობენ, უკვე მზა კალათბურთელია და თუ მოულოდნელად რამე არ შეემთხვა, პირველივე ნბა-ურ სეზონს სოლიდურად ჩაატარებსო. ბატლერი ამერიკულად მსუბუქი ფორვარდი, ჩვენებურად კი ფრთაა და თუ თავიდანვე აული ალლო ნბა-ს, „მაიამის" დამწყებ ხუთეულში დაიკავებს ადგილს. წინა სეზონის ჩაგდების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ რომ ხეირიანი ფრთის არყოლა იყო.

**ირაკლი ფირცხალავა**

# ივკოვიჩი რეალისტია. წარმოუდგენელს ითხოვს
# ევროლიგა ნბა-ს მეხუთე დივიზიონი!

*საკალათბურთო სამყაროში „დუდად" ცნობილი დუშან ივკოვიჩი ევროპაში ერთ-ერთ დიდ მწვრთნელად ითვლება. მის ბერძნულ და იუგოსლავიურ კლუბებში, ასევე იუგთა ნაკრებში მოგებულ ტიტულებს მისივე თანამემამულე ჟელკო ობრადოვიჩი თუ მისწვდება. 58 წლის იუგოსლაველი სპეციალისტი საქმიანობას ერთწლიანი შესვენების შემდეგ ახლახან დაუბრუნდა. მრავალ კლუბთან ერთად მისი გადაბირება ნიკა ცქიტიშვილის „დენვერსაც" სურდა, მაგრამ, „დუდა" ვერ შეუთანხმდა ამერიკელებს და მოსკოვის ცსკა ირჩია. ივკოვიჩთან ეს მცირე ინტერვიუ ამას წინათ ევროლიგის ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა.*



დუშან ივკოვიჩი

**— ეს ერთი წელი რატომ არ ჩანდით?**

— 25 წელი შვებულების გარეშე ვიმუშავე. იუგოსლავიის ნაკრების პარალელურად კლუბებსაც ვწვრთნიდი. ასე რომ, თავისუფალი დრო არ მრჩებოდა. ამიტომ გადავწყვიტე ერთი წლით დამესვენა. ამ ხნის მანძილზე ჩემს ყოველდღიურ ყოფას რაღაც აკლდა და მე კვლავ კალათბურთს დავუბრუნდი.

**— რატომ ირჩიეთ ცსკა? თქვენ ხომ უფრო ძლიერი კლუბები გიწვევდნენ, მათ შორის „დენვერ ნაგიტსიც"–**

— ყველაზე რეალური სწორედ „დენვერის" ვარიანტი იყო. ამ კლუბის პრეზიდენტ კიკი ვანდევეიჯს ნიუ იორკში შევხვდი, მან კონტრაქტი ხელმოსაწერად მაგიდაზე დამიდო. ძალიან მოეწონა ჩემი შეხედულებები კალათბურთზე, მაგრამ ვერ მომცა გარანტია, რომ „დენვერს" პირველივე წლიდან ვუთავკაცებდი. ერთი სეზონი ამ კლუბში მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, სპორტულ დირექტორად, ანაც სხვა თანამდებობაზე ვიმუშავებდი და ამ ხნის მანძილზე გავეცნობოდი „დენვერისა" და მთლიანად ნბა-ს სამზარეულოს. ვანდევეიჯმა მითხრა, დიდი შანსია, მომავალი წლიდან მთავარი მწვრთნელი გახდეო. მე მწვრთნელი ვარ და მინდოდა, „დენკერშიც" სრულფასოვანი მწვრთნელი ვყოფილიყავი, ამიტომაც არ დავთანხმდი.

**— ამის შემდეგ ცსკა-ს ვარიანტის მიღება ცოტა უხერხული ხომ არ ჩანს?**

— რადგან ამერიკელებთან ვერ შევთანხმდი, ევროპაში უნდა დავბრუნებულიყავი და მეც მოსკოვური კლუბი ვარჩიე. მჯერა, რუსი ახალგაზრდების ნიჭისა, თან ცსკა-მ დიდი პროექტი წამოიწყო და ვეცდები, მის შესრულებაში დავეხმარო.

**— რა პროექტია ეს, რა არის ცსკა-ს უახლოესი გეგმები?**

— უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ჩემპიონობას დავიბრუნებთ. ევროლიგაში კი მეორე ეტაპზე გავალთ. მერე და მერე, ცხადია, წინსვლას ვგეგმავთ. 2005 წლის ევროლიგის ოთხთა ფინალის მასპინძლობას ცსკა-ს უფროსობა ძალიან ეშურება.

**— როგორ მიაღწევთ წინსვლას, რისი იმედი გაქვთ?**

— როგორც ყოველთვის: მუშაობა, უფრო მეტად მუშაობა და დისციპლინა. რაც მთავარია, ნიჭიერი თაობა ცსკა-ს არ აკლია და სწორი მუშაობით მიზნის მიღწევა იოლი საქმეა.

**— ნიჭიერი თაობები ევროპაში მუდამ იყო. ახლა კი მათ უმრავლესობას ნბა ეპატრონება. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?**

— სამწუხაროდ, ასეა, რაც დიდი საშიშროებაა ევროპული კალათბურთისთვის. ევროპა არ უნდა გახდეს ერთ-ერთი რიგითი კოლეჯი ნბა-სთვის, საიდანაც უპრობლემოდ აიყვანს ნიჭიერ კალათბურთელებს. სტუდენტურ ლიგაში ახალგაზრდებს 30-იოდე მატჩში უწევთ თამაში, მაშინ, როცა ევროპაში ორი ამდენს თამაშობენ და ტექნიკისა და სხვა კომპონენტთა დასახვეწად გამუდმებით მუშაობენ. ასე რომ, ევროპელი ახალგაზრდები ნბა-სთვის იოლი და გემრიელი ლუკმაა.

**— ამ პრობლემის მოგვარება როგორ შეიძლება?**

— ევროლიგა მომავალში ნბა-ს მეხუთე დივიზიონად უნდა იქცეს. ასეთ შემთხვევაში, მოთამაშეთა მიგრაცია ცალმხრივი არ იქნება და ევროპაც აღარ დაცარიელდება ნიჭიერი კალათბურთელებისგან. ახლა კი რა ხდება, დიდსა თუ პატარას ნბა-სკენ უჭირავს თვალი. ამერიკაში ჯერაც ჩამოუყალიბებელი კალათბურთელები მიდიან.



დიკემბე მუტომბოს გარემო იძულებით გამოაცვლევინეს

# 218-სანტიმეტრიანი ენათმეცნიერი სიბერეში ამოგზაურდა

## დიკემბე მუტომბო მფოლონდო მუკამბა ჟან ჟაკ ვამუტომბო ნიუჯერსელ ახალგაზრდებს ფარქვეშ ამეცადინებს

**„ნიუ ჯერსიმ"** და „ფილადელფიამ" არ დაარღვიეს ტრადიცია და ამ ზაფხულშიც მოაწყვეს დიდი გაცვლა. „ფილადელფიიდან" „ნიუ ჯერსიში" გადაბარგდა 218-სანტიმეტრიანი ბებერი კონგოელი ცენტრი დიკემბე მუტომბო, პირიქით კი იმოგზაურა ორმა კალათბურთელმა — 208-სანტიმეტრიანმა ფორვარდმა კიტ ვან ჰორნმა და 213-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ტოდ მაკალოფმა.

წინასწარი გაანგარიშებით, ეს ტრეიდი უფრო „ნიუ ჯერსის" უნდა მოუხდეს. „ნეთსმა" იშოვა მძლავრი ცენტრი, რაც ბოლო წლების ნბა-ში დეფიციტურ საქონლად ქცეულა, ამდენად ძვირადაც ფასობს. განათლებით ენათმეცნიერი მუტომბო ასაკოვანი კაცია, მაგრამ კარიერის ბოლო წლებშიც იოლად ინარჩუნებს პოზიციებს ნბა-ს ცენტრთა მოწინავე ხუთეულში და ერთად აღებულ ორ-სამ ახალგაზრდას აჯობებს. მოხუცი კონგოელის სახით „ნიუ ჯერსიმ" იშოვა ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი (მუტომბო სეზონის დამცველის პრიზს სარეკორდოდ ბევრჯერ, ოთხჯერ ფლობდა), კაცი, რომლის საკუთარ ფარქვეშ ყოლაც შემტევ მეტოქეს სითამამეს დაუკარგავს.

მუტომბოს სანაცვლოდ „ნიუ ჯერსი" ფორვარდ კიტ ვან ჰორნს შეელია (დონდლო კანადელი ცენტრი ტოდ მაკალფი რა სათვალავში ჩასაგდებია), მაგრამ კლუბის მეთაურებს ეს დანაკარგი არ ანაღვლებთ. ვან ჰორნის ანუ ფრთის პოზიციას შარშანდელი ახალბედა რიჩარდ ჯეფერსონი დაიკავებს, რომელიც ნიუჯერსელთა გაანგარიშებით იმედის მომცემი ახალგაზრდიდან ვარსკვლავად უნდა იქცეს. ამასთან ბოლო სეზონის ჩაგდების შემდეგ ვან ჰორნს ძველ გუნდში რეპუტაცია შეელახა და „ჰაერის" გამოცვლით თავადაც დაინტერესებული უნდა იყოს.

მართალია, ვან ჰორნს თავისი ხუთწლიანი კარიერა სულ „ნეთსში" გაუტარებია, მაგრამ ამ გუნდში „ფილადელფია სიქსერზიდან" მივიდა. 1997 წლის დრაფტში ის მეორე ნომრად „ფილადელფიამ" აირჩია და მაშინვე „ჯერსიში" გაცვალა. ფილადელფიელებს იმედი აქვთ, რომ ვან ჰორნი მათთან ბოლომდე დაიხარჯება, სრულად გამოავლენს თავის მრავალმხრივ განსაკუთრებით შემტევ ნიჭს და მეტოქეთა კალათებთან ლამის ეულად მეომარ ალენ აივერსონს ყოველ მატჩში საშუალოდ 17-20 ქულას მიაშველებს.

რაც შეეხება გაცვლის მესამე მონაწილეს, ტოდ მაკალოფს, „ფილადელფიას" ეს კაციც ძირითადი ხუთეულისთვის შეუგულებია. მაკალოფი ძველი ფილადელფიელია და 2001 წლამდე, „ნიუ ჯერსიში" გადასვლამდე, სწორედ მუტომბოს მარქაფში იყო. ახლა მას „სიქსერზის" ხუთეულში თამაშის ბედნიერება ექნება.

ამ დღეებში ნბა-ში სხვა გაცვლაც გაიჩარხა. „პორტლენდმა" „სან ანტონიოს" ორი უკანახაზელი დაუთმო — ზანგი ყმაწვილი ერიკ ბერკლი და მხცოვანი თეთრი სტივ კერი, სანაცვლოდ კი მისგან ანტონიო დანიელსი, ჩარლზ სმიტი და ამალ მაკასკილი მიიღო. ამ ხუთი გუნდნაცვალი კალათბურთელიდან სადღეისოდ ყველაზე რიგიანი ანტონიო დანიელსია. დანიელსმა ფრანგ ახალბედა ტონი პარკერის კონკურენციას ვერ გაუძლო და „სფურზის" სასტარტო ხუთეულიდან ამოვარდნილმა სხვა გუნდში გადასვლის სურვილი გამოთქვა. სურვილი კი აუსრულდა, მაგრამ ნაწილობრივ, ისეთ გუნდში გადავიდა, სადაც ძირითადი გამთამაშებლის ადგილი რამდენიმე წელია და რამდენიმე წლით სხვას, დეიმონ სტუდემაიერს აქვს დაჯავშნული.

ნიჭიერი, მაგრამ ყალთაბანდი ბიჭია დანიელსთან ერთად „პორტლენდს" გადაბარგებული ჩარლზ სმიტი. ნბა-ს ყველაზე წყნარ გუნდში, „სან ანტონიოში", ის ერთადერთი იყო მშფოთვარე და იქაურობას ვერ შეეგუა. სმიტი კამათობდა და ჩხუბობდა ყველა კატეგორიის ხალხთან, ვინც კი მის ირგვლივ ტრიალებდა — მწვრთნელებთან, თანაგუნდელებთან, მეტოქეებთან, მსაჯებთან და, ალბათ, ჩხუბობდა მოედანსგარეთაც. შარიანი ბუნება მის კარიერას გვარიანად აფერხებს. ის, ალბათ, არც „პორტლენდში" გახდება ვარსკვლავი, მაგრამ მასსავით მბორგალ და შფოთიან თანაგუნდელებთან იქნებ კიდეც გამონახოს საერთო ენა.

ამ გაცვლამ ყველაზე მეტად ასიამოვნა ვეტერანი სნაიპერი სტივ კერი, რომელიც წარმოშობით სან ანტონიოდანაა და ჩემპიონის ტიტულებით დახუნძლულ კარიერას მშობლიურ ქალაქში დაასრულებს. კერი ზედიზედ ოთხჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი 1996-98 წლებში „ჩიკაგოს" მაისურით, ხოლო 1999 წელს „სან ანტონიოს" მაისურით. ახლა ის მშობლიურ წმინდა ანტონიოს ქალაქს მეორედ და, ალბათ, საბოლოოდ უბრუნდება.

**ირაკლი ფირცხალავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამპრასმა და ჩანგმა სიბერე დაივიწყეს. რამდენ ხანს?

## ჰიუიტი ინტერვიუს არმიცემაში 20 ათასს იხდის



ჯენიფერ კაპრიატი

**WESTERN & SOUTHERN**
ცინცინატი. ჰარდი
საპრიზო 2,95 მილიონი $

**პირველი წრე**

**პიტ სამპრასი** (15, აშშ) — გილერმო კანასი (არგენტინა) 5:7, 7:6 (8:6), 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:0, 6:0; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ტომი ჰაასი (3, გერმანია) 6:3, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (4, ბრიტანეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:3, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (8, ესპანეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 7:6 (7:1), 6:4; **ტეილორ დენტი** (აშშ) — ტომას იოჰანსონი (9, შვედეთი) 6:4, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:4; **ენდი როდიკი** (12, აშშ) — მიხელ კრატოჩვილი (შვეიცარია) 6:3, 6:3; **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ირჟი ნოვაკი (13, ჩეხეთი) 6:4, 6:4; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — დავიდ ნალბანდიანი (14, არგენტინა) 3:6, 6:3, 6:4; **კარლოს მოია** (16, ესპანეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:3, 6:3

ღირსშესანიშნავ ამბავთა დღე იყო.

წინა კვირაში ჩაფლავების შემდეგ მსოფლიოს პირველმჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი ბომბა-ფორმას დაუბრუნდა.

კიმ კლაისტერსის ჭაბუკმა მურაზმა ამერიკელი ნაკვალიფიკაციევი რობი ჯინეპრი დაჩაგრა — 6:0 6:0. 19 წლის რობი მასზე ორი წლით უფროს უხიაგ ავსტრალიელს პირველად გაეპაექრა.

ალალად ვიტყვი, გადასარევად არ უთამაშიაო, ამბობდა ჰიუიტი მეტოქეზე

მაგრამ „ემაგ ჩუბინობა" ლეიტონს 20 000 დოლარად დაუჯდა, რაკილა მატჩის წინ ტრადიციული ინტერვიუს მიცემა არ ისურვა.

როგორც ATP-ის განაწესი ბრძანებს, შეპირებული ინტერვიუს არმიცემის გამო მეჩოგნემ ან სწორედ ამდენი უნდა დაყაჩოს, ანაც — ტურნირის მოგების შემთხვევაში — მონაგების ნახევარი...

პარალელურად — კიდევ ორი გამორჩეული ამბავი მოხდა.

პირველი ის, რომ ცინცინატიში ორგზის ნაჩემპიონარმა და ცხოვრებაში შვიდგზის ნამასტერსტიტულარმა ბებერმა ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა ტურნირზე მესამე ჩოგნის მქნეველი გერმანელი ტომი ჰაასი აოტა. ჩანს, ორი თვის განმავლობაში ნაავარიალი მშობლების მძიმავი და წინა კვირაში ტორონტოში ნახევარფინალამდე ნაბულრავები ტომი ოდნავ გადაღლილიყო.

ვინმეს თუ არ გახსოვთ — საგანგებოდ თქვენთვის:

30 წლის ჩია აზიამერიკელმა ცინცინატის მაგარსაფრიანი სეფეკორტი 1993-94 წლებში აოხრა, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში წარუმატებელი ფინალისტი იყო.

რაც შეეხება მეორეს — ამბავს, რასაკვირველია — ისევ მოგვეცა ყველა დროის უდიდეს მეჩოგნე კაცზე კეთილად გასაუბრების საშუალება.

პიტმა — არც მეტი, არც ნაკლები — წინა უქმეებისას ტორონტოს მასტერსტურნირზე ნახეირალსა და, ეტყობა, ამის გამო ჯერაც აზრზე ვერმოსულ არგენტინელ კანასს აჯობა.

ნაამჯაქრევს ელინოამერიკელი ძალიან ტრადიციულ რამეებს ამბობდა და მის სიტყვებს ამიტომაც არ გაახლებთ.

მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად.

სხვაფრივ — ცინცინატიში ძალიან სახელიანი ხალხია თავმოყრილი და ჩოგნაობა მიდის, მტრისას!

ამას ანგარიშების მიხედვითაც მიხვდებით.

ოღონდ ჩემდა თავად ერთ რამეზე მიგაქცევინებთ ყურადღებას:

როგორღაც უფრო ჭაბუკები და ჯაჩიანები იგვენ.

ტეილორ დენტმა — სხვას ყველას თავი გავანებოთ — წლევანდელ მეავსტრალიე იოჰანსონს 13 ეისი ჩაუგდო. უნიჭიერესმა ფინელმა ნიემინენმა კი უიმბლდონის ერთითვისწინანდელი ფინალისტი დავიდ ნალბანდიანი გამოთიშა.

რაღა ბევრი შევაწუხოთ, ამ ტურნირის მოგებული 392 ათასით გამდიდრდება. გადასახადის გამოკლებით — ბუნებრივია.

**JP MORGAN CHASE OPEN**
მანჰეტენ ბიჩი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

**პირველი წრე**

**აი სუგიამა** (იაპონია) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:3; **ჟანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 4:6, 6:1, 6:3;

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:1, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:2, 6:7 (3:7), 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) 6:4, 2:6, 6:4; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — ემი ფრეზიერი (აშშ) 3:6, 7:6 (9:7), 6:1



პიტ სამპრასი

ჯენი კაპრიატის მესამე წრეში გასაღწევად სულ 56 წუთი დასჭირდა, მაგრამ იმდღევანდლური ამბებიდან ყველაზე მთავარი ეს სულაც არ გახლდათ.

ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ფუმფულა კლაისტერსმა — რომელიც მსოფლიო რეიტინგსიაში მეექვსე საფეხურზე მყუდრობს — 43-ე ჩოგნის მქნეველ კატარინა სრებოტნიკთან დათმო.

ლეიტონის გოგოს წინა ორ ტურნირზე ვინუს უილიამსი ელობებოდა. უფროსმა შავდამ ბელგიელთა სეფექალი სტენფორდის ფინალში და სან დიეგოს მეოთხედფინალში დაჩაგრა.

ახლა დასვენება მჭირდებაო, ამბობდა ნაამარცხევს კიმი.

ხოლო თუ ისევ კაპრიატის გამარჯვებას მოვუბრუნდებით, მაშინ იმის გახსენებაც ხამს, რომ ლურჯთვალება შვეიცარიელისთვის მას აქამდე სამჯერ მოეგო და — საერთოდაც — წლეულს მაგარ საფარზე საკმაოდ წარმატებულად თამაშობს. 26 წლის ბუთქუნა ამერიკელმა იანვარში ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და მას შემდეგ სკოტსდეილურ და მაიამურ ფინალებს უწია.

დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავი ის არის, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა, 26-ისავე წლის ლინდსი დევენპორტმა ტიტულის დაცვა სექსუალური რუსი თინეიჯერის, ელენა ბოვინას გაფარჩაკებით დაიწყო. ოტროველა ლინდსის მანჰეტენბიჩური ჰარდი შარშანდლის გარდა 1996 და 1998 წლებშიც დაურბევია.

ჰო, მართლა — აქ გამარჯვებული ჯილდოდ 93 ათას დოლარს მიიღებს.

**ლევან ძელაურაძე**

**NORDEA NORDIC LIGHT OPEN**
ჰელსინკი. ჰარდი
საპრიზო 140 ათასი $

**პირველი წრე**

**სილვია ფარინა ელია** (1, იტალია) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1; **გალა ლეონ გარსია** (ესპანეთი) — ივა მაიოლი (2, ხორვატია) 6:2, 6:2; **არანჩა სანჩეს ვიკარიო** (4, ესპანეთი) — მარია ვოლფბრანდტი (შვედეთი) 6:1, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:2, 6:3; **მაია მატევჟიჩი** (8, სლოვენია) — სანდრა კლეიმოვა (ჩეხეთი) 6:3, 5:7, 6:4

# საჩოგნეთი ანასია, საჩოგნეთი კანასია

საჩოგნეთი ანასია.

ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ამაზე არსებობს მხოლოდ ოხვრა, კვნესა, აუხდენელი ოცნებები, განსხვავებული აზრები და ძველრომაული გამოთქმა — „გემოვნებებზე არ დაობენ".

მაგრამ ის, რაც ერთმა მხურვალე არგენტინელმა გაუჩომ წინა კვირაში გააკეთა, საჩოგნეთის მეოხს როგორღაც იმასაც აფიქრებინებდა, რომ ანა კურნიკოვას გარდა ჩოგბურთზე დაფიქრებულ ადამიანს გილერმო კანასიც უნდა გაახსენდეს.

სასწაულად მძლავრი ტორონტოული გარჯა ამ 24 წლის არგენტინელს თვის საუკეთესო მოთამაშეობად დაუფასდა.

მის გარეგნულ მომხიბლაობაზე საუბარი ჩვენი საქმე არ არის — ჩვენთვის ჩოგნაობაზე მწერლობისას მარადსაექსუალო თემად კვლავაც ანა კურნიკოვა, ელენა დოკიჩი და დანიელა ჰანტუხოვა დარჩებიან. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ კარიერის პირველი მასტერსტიტულის მოპოვებამ — რაიც მან ისეთი მსხვილი ლლავების ჩაძირვით მოახერხა, როჯერ ფედერერი, მარატ საფინი და ტომი ჰაასი რომ არიან — იგი ჩემპიონთა რბოლაში მეთექვსმეტე ადგილიდან მეშვიდემდე აღაზევა.

ჩვენს შორის თუ გნებავთ ნუ დარჩება და, მთელი ეს შესავალი სწორედ ამის სათქმელად შევთხზეთ.

და აი, კიდევ რა:

წლეულს კანასს 43 გამარჯვება დაუგროვდა. ეს კი მხოლოდ ერთით ჩამორჩება ენდი როდიკის საამსეზონო მიღწევას.

რაც შეეხება თვის ამომავალ ვარსკვლავს, ამად 21 წლის ამერიკელი ტეილორ დენტი — ნიუპორტში კარიერის პირველი ტიტულის მიმთვლელი დასახელდა.

**ლევან ძელაურაძე**

## კლასიფიკაცია

### ქალები



| | |
|---|---|
| 1 (1) სერენა უილიამსი (აშშ) | 5,742 ქულა |
| 2 (2) ვინუს უილიამსი (აშშ) | 5,178 |
| 3 (3) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 3,946 |
| 4 (4) მონიკა სელეში (აშშ) | 3,604 |
| 5 (5) ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 3,246 |
| 6 (7) კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3,043 |
| 7 (6) ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 3,005 |
| 8 (8) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2,702 |
| 9 (9) ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2,597 |
| 10 (10) ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2,285 |
| 11 (11) სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 2,059 |
| 12 (12) დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1,921.75 |
| 13 (13) ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1,719 |
| 14 (14) სილვია ფარინა-ელია (იტალია) | 1,658 |
| 15 (15) ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1,490 |
| 16 (17) მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1,329 |
| 17 (16) დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) | 1,286 |
| 18 (19) ანა სმაშნოვა (ისრაელი) | 1,268.50 |
| 19 (18) ანე კრემერი (ლუქსემბურგი) | 1,265.75 |
| 20 (20) ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1,210 |

### ვაჟები

| | |
|---|---|
| 1 (1) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 5,080 ქულა |
| 2 (2) მარატ საფინი (რუსეთი) | 3,213 |
| 3 (3) ტომი ჰაასი (გერმანია) | 2,990 |
| 4 (4) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2,645 |
| 5 (5) ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2,645 |
| 6 (6) ანდრე აგასი (აშშ) | 2,305 |
| 7 (7) ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 2,215 |
| 8 (8) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2,110 |
| 9 (12) ენდი როდიკი (აშშ) | 2,050 |
| 10 (11) სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 2,000 |
| 11 (9) ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1,960 |
| 12 (19) გილერმო კანასი (არგენტინა) | 1,930 |
| 13 (13) ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1,920 |
| 14 (10) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1,920 |
| 15 (14) დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1,742 |
| 16 (15) პიტ სამპრასი (აშშ) | 1,675 |
| 17 (16) კარლოს მოია (ესპანეთი) | 1,585 |
| 18 (18) იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 1,505 |
| 19 (20) გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1,425 |
| 20 (22) სხენკ შალკენი (ჰოლანდია) | 1,424 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | |
|---|---|
| 1 (1) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 525 ქულა |
| 2 (2) მარატ საფინი (რუსეთი) | 422 |
| 3 (3) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 393 |
| 4 (4) ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 379 |
| 5 (5) ანდრე აგასი (აშშ) | 367 |
| 6 (6) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 333 |
| 7 (16) გილერმო კანასი (არგენტინა) | 328 |
| 8 (7) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 325 |
| 9 (10) ტომი ჰაასი (გერმანია) | 318 |
| ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 318 |
| 11 (8) ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 311 |
| 12 (15) ენდი როდიკი (აშშ) | 308 |
| 13 (9) კარლოს მოია (ესპანეთი) | 286 |
| 14 (13) დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 282 |
| 15 (12) გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 263 |
| 16 (14) ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 257 |
| 17 (17) იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 234 |
| 18 (18) ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 202 |
| 19 (19) ხავიერ მალისი (ბელგია) | 199 |
| 20 (22) სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 196 |



ლეიტონ ჰიუიტის პირველობას ჯერ ვერცერ დამუქრებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS მიუნხენიდან
დუეინ ჩამბერსი


REUTERS მიუნხენიდან
იური ბილონოგი


REUTERS მიუნხენიდან
ივონ ბუშბაუმი ჯერ მხოლოდ საკვალიფიკაციოდ ხტება

# 1972 11 ებრაელებს ახსოვთ!
## ტკივილი და სიხარული ტერაქტის ტერიტორიაზე

**მიუნხენში** გაჩაღებული ევროპის ჩემპიონატი მაყურებელთა გადასახედიდან, აბა, როგორ ამოუდგება გვერდში ოლიმპიურ თამაშებს, გინდაც მსოფლიოს პირველობებს, მაგრამ ევროშეჯიბრის სარბენ ბილიკებზე დატრიალებული ემოცია-მონდომებები სხვებისაზე არანაკლებია. ბებერი კონტინენტის ყველაზე მარდი და მოქნილი გოგო-ბიჭების მიუნხენურ სარბიელზე განცდილ მოგება-წაგებებს კი 30 წლის წინ იქვე დატრიალებული ტრაგედიის მწუხარებაც ახლავს.

ზუსტად 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პალესტინელებმა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიური სოფლის ებრაულ უბანში გამიზნული სროლა ატეხეს და 11 ებრაელის სიცოცხლე იმსხვერპლეს. საგანგებოდ იმ ოლიმპიადისთვის აგებულ „ოლიმპიაშტადიონზე" ტრაგედიის 30 წლისთავზე სპორტსმენები წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას.

მიუნხენშია იმ ტრაგედიის შემსწრე, ყოფილი სპორტსმენი, 50 წლის ესთერ რუთი, რომელსაც 30 წლის წინ ტერორისტებმა მწვრთნელი მოუკლეს. რუთი ისრაელის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მძლეოსანია. ტრაგედიის გამო მიუნხენში მას აღარ დაუმთავრებია გამოსვლა, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ მონრეალში ას მეტრზე თარჯრბენის ფინალში მოხვდა და მეექვსე ადგილი დაიკავა.

სადღეისოდ ისრაელი ევროჩემპიონატზე 17-სპორტსმენიანი გუნდითაა წარდგენილი. მათგან ერთმა, 10 000 მეტრზე მორბენალმა ქალმა ნილი ავრამსკიმ უკვე დაასრულა გამოსვლა. ავრამსკიმ, რომელსაც ცალ ხელზე ტრაგედიის წელი „1972" წაეწერა, მეორეზე კი იმ წელს დაღუპულ თანამემამულეთა რიცხვი — „11", თავი ვერაფრით ისახელა, ბოლო მივიდა ფინიშთან და მთელი ხუთი წუთით ჩამორჩა გამარჯვებულს.

გამარჯვებით კი გაიმარჯვა ბრიტანელმა პოლა რედკლიფმა, თან არამარტო გაიმარჯვა. 28 წლის რედკლიფს აქამდე სერიოზული არაფერი მოეგო, თუ არ ჩავთვლით ცხრა დღის წინ მანჩესტერში, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე გაპირველებას. ახლა კი მან ათკილომეტრიანი დისტანცია 30 წუთსა და 1,09 წამში გაირბინა და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა, ამასთან ძველს, 1986 წელს ოსლოში ინგრიდ კრისტიანსენის მიერ დამყარებულს ერთბაშად 12 წამი ჩამოაჭრა. რედკლიფის მიღწევას უნიკალური არ ეთქმის. რაც უნდა იყოს, მსოფლიოში ათკილომეტრიან გარბენებში, თუმც ერთხელ, მაგრამ მაინც ხომ აჩვენა ვიღაცამ უკეთესი დრო. მსოფლიო რეკორდი ჩინელი ვანგ ჯუნხიასია და მას ის 1993 წელს მშობლიურ პეკინში დაუმყარებია. ჯუნხიას რეკორდი 29 წუთი და 31,78 წამია.

ევრორეკორდსმენი მაინც უზომოდ ბედნიერია და ახლა ფიქრობს, ხუთკილომეტრიან დისტანციაზეც ხომ არ მეცადა ბედიო. „ცხადია, დაღლილი ვარ, მაგარმ თავს ძალიან ცუდად არ ვგრძნობ. ჩემი ფეხები მწყობრშია და ახლა ვფიქრობ, გაუძლებს თუ არა ხუთიათასმეტრიან დატვირთვას" — თქვა მოღლილი, მაგრამ ბედნიერი სახით რედკლიფმა.

მეორე ადგილი და მხოლოდ ვერცხლი შეხვდა ათკილომეტრიან სირბილში ძველ ჩემპიონს და ახლაც მთავარფავორიტ ირლანდიელ სონია ოსალივანს. მისი დროა 30 წუთი და 47,59 წამი.

რედკლიფის მარდი რბენის ცქერაში მიუნხენურ პუბლიკას გამოეპარა ბირთვის კვრის ფინალი. ხალხმა მერეღა გაიგო, რომ ამ დისციპლინაში იმარჯვა უკრაინელმა იური ბილონოგმა. უკრაინელმა 21,31 მეტრზე ჰკრა ლითონის სფერო და უახლოესი კონკურენტის, დანიელი იოახიმ ოლსენის ნაკრავს 21 სანტიმეტრით გადააცილა. 20,58 მეტრით მედალოსანთა კვარცხლბეკის ყველაზე დაბალი საფეხური ამაყად დაიჭირა მასპინძელმა რალფ ბარტელსმა.

ევროპის ჩემპიონატის პროგრამაში ორგანიზატორებმა როგორც იქნა ჩართეს 20 კილომეტრზე ქალთა სპორტული სიარული და ამ დისციპლინაში პირველობას ვის დაუთმობდა სპორტულად ყველაზე გამალებულად მოარული რუსი ოლიმპიადა ივანოვა. ოლიმპიადას ორი ოლიმპიადა, ზედაც მსოფლიოს ჩემპიონატიც მოუგია, საერთოდ, სპორტულ სიარულში ქალებში ბადალი არასდროს ჰყოლია და გუშინ რა ღმერთი გაუწყრებოდა. ივანოვამ მიუნხენშიც ორი ათეული კილომეტრი ჩვეული ბეჯითი სიმარდით — საათში, 26 წუთსა და 42 წამში გაიარა და გულზე ოქროც დაიკიდა. საპატიო ვერცხლი ირგუნა აგრეთვე რუსმა ელენა ნიკოლაევამ, რომელიც ივანოვაზე თითქმის ორი წუთით დაგვიანებით მიადგა ფინიშის ხაზს. მესამე გახლდათ იტალიელი ერიკა ალფრიდი.

დღის მეორე ნახევარში მედლების კიდევ სამი კომპლექტი გათამაშდა. პრესტიჟულ გარბენში, კაცთა შორის 100-მეტრიან სპრინტში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრიტანელმა დუეინ ჩამბერსმა იმარჯვა, რომელმაც ეს დისტანცია 9,96 წამში დაფარა, თან ევროპის წლევანდელი სასეზონო რეკორდიც დაამყარა.

ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველობა არავის დაანება ტატიანა კოტოვამ. 2001 წლის მსოფლიოს ვერცხლისმედალოსან რუსს ევროპული ოქრო 6,45 მეტრიანმა ნახტომმა მოუტანა. ევროპის წინა ოთხი ჩემპიონატის მომგებ ვეტერან გერმანელ ჰაიკე დრექსლერს ამჯერად ხტომა არ წაუვიდა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

კაცებში 10-კილომეტრიანი გარბენი ესპანელმა ხოსე მანუელ მარტინესმა 27 წუთითა და 47,65 წამით მოიგო.

**ირაკლი ფირცხალავა**


ჰაიკე დრექსლერი


REUTERS მიუნხენიდან
პოლა რედკლიფი

## წყალბურთი

# ბოლო სამი გოლი სამ წუთში

**იტალიის** ქალაქ ბარიში, ახალგაზრდა წყალბურთელთა ევროპის პირველობაზე საქართველოს ნაკრები მესამე მატჩში ბელგიელებთანაც დამარცხდა. თუმცა ამჯერად ჩვენებმა რუსეთისა და უნგრეთის გუნდებთან შეხვედრებივით პირწმინდად აღარ დათმეს ბრძოლა და მინიმალური ანგარიშით — 6:7 წააგეს.

არადა, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ანგარიში ქართველებმა გახსნეს და პირველი პერიოდი ამ ერთადერთი გოლის წყალობით ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა.

მეორე პერიოდიც ქართველმა წყალბურთელებმა მოიგეს — 4:2. თავი გამოიჩინეს ბუტიკაშვილმა, რურუამ და ბაზაძემ.

სამწუხაროდ, ამის მერე ჩვენს წყალბურთელებს თანდათან დაღლა დაეტყოთ, რაც მოსალოდნელი იყო, რადგან ისინი ნახევარი წელიწადია, არანაირ შეჯიბრებაში არ გამოსულან და არც საქართველოში ჰყოლიათ სპარინგ-პარტნიორი.

ასე იყო თუ ისე, მესამე პერიოდში ბაზაძემ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა, მეტრეველმა კი ეს ორჯერ შეძლო. თუმცა, მესამე პერიოდის დასასრულს საერთო ჯამში წინ მაინც ჩვენი ბიჭები იყვნენ - 6:4.

ეს იყო და ეს, ამის მერე შეხვედრა ცალ კარში თამაშს დაემსგავსა და ბელგიელებმა სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს, სამივე ბოლო სამ წუთში.

ამ მარცხის მერე საქართველოს ნაკრებმა მე-9-მე-16 ადგილებისთვის მოთამაშეთა შორის გადაინაცვლა.

## რაგბი

# საქართველო ფინალშია. მერე?

**17-18 აგვისტოს** გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში ევროპის შვიდკაცა ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართება. საკვალიფიკაციო ეტაპებზე თავგამოჩენილი 12 გუნდი კონტინენტის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ტურნირში თავიდანვე არ მონაწილეობდნენ ბრიტანული ნაკრებები, ევროპულ ბობოლათაგან მხოლოდ საფრანგეთი თამაშობს.

ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ: საქართველო, საფრანგეთი, დანია, პოლონეთი, ლიტვა, ლუქსემბურგი, გერმანია, პორტუგალია, ჰოლანდია, ჩეხეთი, მალტა, უკრაინა.

კენჭისყრით 12 ნაკრები ორ ჯგუფში განაწილდა. საქართველოს მეტოქეები პორტუგალია, ჰოლანდია, ჩეხეთი, მალტა და უკრაინა იქნებიან.

ჯგუფებიდან პლეი ოფში ოთხ-ოთხი გუნდი გადის. ეს ორდღიანი ტურნირი საქართველოს ნაკრების ფრანგულ შეკრებას ემთხვევა და ჰაიდელბერგში, ალბათ, ნაკრების კანდიდატები ვერ ჩავლენ

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა დროს ზაფხულია

შუა ზაფხულია და ავსტრალიაში ჰოთემის მთაზე „ბიგ ეასის“ სათხილამურო ამბავი გახურებულა. თხილამურობის მფრინავები კარლ ფრისკის პროფესიონალთა შეჯიბრში ჩაბმულან. ჰაერში რომ შეყოვნებულა, იაპონელი მაკოტო კონდოა.



REUTERS ჰოთემიდან



REUTERS ოსაკადან

# აი, დაცვა

წინასასეზონო თამაშებს ამერიკული ბურთაობის ოსტატები იაპონიაშიც გამართავენ ხოლმე. იქ ეს სპორტი დიდად უყვართ. ოსაკას სტადიონზე სან ფრანცისკოელები თავიანთი დაცვის უტეხობაში არწმუნებენ ვაშინგტონელ რობერტ გილესპის.



# ვითომ არაფერიაო

აჰ, რა ამბავი აუტეხა ალენ აივერსონმა თავის მეგობარ გოგოს, ტავანა ტარნერს. იეჭვიანა, სულ იარაღები ატრიალა და ამის გამო ევებ ციხეშიაც ჩააყუდონ. ახლა კი, თითქოს არაფერიო, რეჟისორ ნაიტ შამალანის (მარცხნივ) ფილმის პრემიერაზე მისულა ტავანასთან ერთად. ფილმს კი „უტეხი“ ჰქვია.

# სტენლი მოსკოვში



REUTERS მოსკოვიდან

უბერებელი დეტროიტელი რუსი იგორ ლარიონოვი მოსკოვშია და თავის ძველ მეგობარსა და თანამებრძოლს, აწ რუსეთის სპორტის მინისტრს, ვიაჩესლავ ფეტისოვს ხვდება. „დეტროიტ რედ უინგზის“ სამ რუს ჰოკეისტს, თავად ლარიონოვს, პაველ დაციუკს და მაქსიმ კუზნეცოვს მოსკოვში ჩამოუტანიათ მათი გუნდის მიერ მოგებული სტენლის თასი და მიზნად საქველმოქმედო აქცია დაუსახავთ. თასი არასოდეს გასულა ჩრდილო ამერიკიდან, მაგრამ რუს ჰოკეისტთა პატივისცემით ლიგამ ღონისძიებას მწვანე შუქი აუნთო.

# ახლა კრივიც

ავღანელთა თალიბთა უღელი გადაიგდო და სპორტს მისდია. ფეხბურთელი ხომ გახურდა და გახურდა, ახლა კი კრივის ჯერიც მოსულა. მოჰამად მაჰრააფ რაბათი (მარჯვნიდან მეორე) დიდის ენთუზიაზმით შეუდგა ავღან ჭაბუკთა კრივში დაოსტატებას. ავღანელებს სურთ, რომ სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში იმ თვეში დაგეგმილ აზიის თამაშებში ჩაერთონ.



REUTERS ქაბულიდან





REUTERS მიუნხენიდან

# აბრიალდა

ასე ფოიერვერკულად გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შეჯიბრის ადგილი მიუნხენია, დახურვის დღე 11 აგვისტო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge